645
1962/2

# საქართველოს ქალი

ივლისი
1962 წ. № 7

11
645/2



# რუსული პოეზიის დეკადა

რუსი და ქართველი ხალხის, რუსი და ქართველი მწერლების საუკუნეობრივი მეგობრობის მატიანე კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცლით გამდიდრდა: ივნისში მოეწყო რუსული პოეზიის დეკადა საქართველოში; გვეწვივნენ ცნობილი რუსი პოეტები. ათი დღის მანძილზე საქართველოს დედაქალაქში, რესპუბლიკის ქალაქებსა და [illegible] ჟღერდა ლექსის გამოჩენილი რუსი ოსტატების მგზნებარე პოეტური სტრიქონები, ისმოდა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სადიდებელი მხურვალე სიტყვები.

ვაქვეყნებთ რუსული საბჭოთა პოეზიის ნიმუშებს—რუსი პოეტი ქალების ლექსებს.

ბელა ახმადულინა

## ქართველ ქალთა სახელები

ხეტიალობდნენ ზღვაზე აფრები...
მზე დეკემბრისა კვლავ იყო მწველი
და მშვენიერი ჭადრის ფოთლებმა
ძალიან გვიან დაიწყეს ცვენა...
ეურთდებოდა ტალღის ხმაური
ბაზრის ხმაურს და შორეულ ყაყანს...
ბაზალტისა და თოვლის ფერები
ცას შორს აჩენდნენ, შორსა და მაღალს...
და მარტოობდა ბაღში ჯიხური
(იქნებ ახეთი ყოფნის მსურველიც),
დამკრავდა ქართველ ქალთა სახელებს
დამწიფებული ყურძნის სურნელი...
ჩურჩულადქმნილნი გაიპრებოდნენ
ზღვისკენ მინდვრებით, ლურჯი ქედებით..
მერე ნაპირთან მოცურდებოდნენ,
როგორც ზღაპრული შავი გედები...
მათებრ შვენოდათ ყელმოღერება...
ან, ვით სულები ლურჯი ზღვისანი,
ტალღებს მისდევდა ზღვაში ლამარა,
უვავილს იხნევდა თმებში ცისანა.
მგავდა ნათელა შორეულ ნათელს
და მიმყვებოდა ქარს იმედებად...
ალივით გაშლილ ლამაზი თმებით
ამოდიოდა წყლიდან მედეა.
სურნელს აფრქვევდნენ ოლეანდრები,
ოლეანდრებით ცა იყო სავსე...
შორს ყრუდ ისმოდა ტალღის ხმაური,
ხეტიალობდნენ აფრები ზღვაზე.

თარგმნა ანა კალანდაძემ

იუნა მორიცი

## მეზამთრეების ბალადა

იქ, სადაც არ აღწევს ზაფხულის
სითბო-სიმწვანის ნათელი,
სადაც თოვლს ახრამუნებენ
გულთოვლიანი დათვები.
სად ჩრდილოელთა სიმბოლო
ქარი სტვენს სვენებ-სვენებით,
სადაც სულ ერთხელ, წლის ბოლოს
ჩამოივლიან გემები.
სადაც თეთრ ფერზე უმეტეს
არ არსებობენ ფერები...
ყინულკუნძულზე გმირებად
ცხოვრობენ მეზამთრეები.
ქარი სტვენს შენაშფოთები
თუ ზღვის ლოშები ზღავიან?!
ბიჭებს ხელთა აქვთ თოფები
დღე თენდება თუ ღამეა...
სხედან, სიყვარულს ნატრობენ
და უფრთხილდებით გულები—
ცხელ წყალში ჰყრიან კარტოფილს
სწავლული მზარეულები.
სიტყვას ფხა აქვს და თვალს ძალა,
ფხა—ძალა რაპირისებრი...
ცას შეაწყდება მაშხალა,
დალურჯდებიან ნისლები.
დაღამდება და ჩრდილ-შუქი
ერთურთში არევს ყველაფერს...
ტყაპა-ტყუპით და ჩუქჩუქით
ჩაეძინებათ სელაპებს...
მაგრამ არ სძინავს რადისტ ქალს
და ცნობებს აწვდის სამყაროს —
რა სისწრაფე აქვს ქარიშხალს,
რა ცისკარობს და რა დარობს...
თავს ადევს გრიგალდიდობა,
მაინც იმედით ინთება,
იცის, მსოფლიო მშვიდობას
მისი ტკბილი ხმაც სჭირდება.

თარგმანი მორის ფოცხიშვილისა

ელენე რივინა

## სიყვარული

ვისაც სწყურია ჩემებრ
და სიმარტოვე სუსხავს,
მხოლოდ მას შევაჩერებ,
რომ ჩემი ცოდვა ვუთხრა.
ეს იყო წინათ, ერთ დროს,
წამით ჩემს სახლის ერდოს
მოადგა ვიღაც უცხო,
დარცხვენით მთხოვა წყალი,
მე კი მოვექეც ულვთოდ,
ნამდვილად მიძღვის ბრალი!
ვკითხე, თუმც ძლიერ შემრცხვა,
ვინ არის, საით მიდის!
წამით ჩამოჯდა ცეცხლთან
ჩემზე ნაწყენი, მშვიდი...
პასუხი მითხრა, მაგრამ
სამარადისოდ გაჰქრა...
მისმინეთ: იქნებ ერთ დროს,
მაგ თქვენი სახლის ერდოს,
მოადგეს ის მწყურვალე,
ნუ დააპირებ დაცდას,
მიეცი წყალის ნაცვლად
თვით სულის სიმხურვალე.
—«საით!»—ჰკითხე მის თვალებს.
გეტყვის; —
—«უშენოდ არსად!»

თარგმნა შალვა მჭედლიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამგორის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეფრინველე ბ. დაიაური

# საქართველოს ქალი

ივლისი 1962 წ. № 7

საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იკრიფება ჩაი

### ბრიგადირი

მის ძებნას თითქმის ერთი საათი მოვანდომე. ყველა შემხვედრისაგან ერთ პასუხს ვიღებდი — ახლა აქ იყოო თინა. მაგრამ ადვილი არ აღმოჩნდა თოთხმეტ ჰექტარზე გადაჭიმული ჩაის პლანტაციის ბატონ-პატრონის პოვნა. ბოლოს, როგორც იქნა მივაგენი ბრიგადირ თინა ასკურავას ადგილსამყოფელს. იგი ელენე გვარჯალაძის ნაკვეთზე იყო და გაცხარებული კამათობდა რაღაცის შესახებ. ჩვენს დანახვაზე კამათი შეწყვიტა და საოცრად სწრაფად დამშვიდდა. გამოველაპარაკე.



თინა ასკურავა

ოცდაერთი წელია, რაც სოფელ შუხუთის კოლმეურნეობაში მუშაობს თინა. აქედან თორმეტი წელი მერგოლურად იყო და არავის უთმობდა გარდამავალ დროშას. მერე ბრიგადირად დააწინაურეს და რვა წელია წარმატებას წარმატებაზე აღწევენ მისი მეჩაიე, მეაბრეშუმე და მესიმინდე ქალები.

სწრაფ და დაუდგომელ ქალად იცნობენ მას სოფელში. მეხივით მოურიდებელი და გოროზია მუშაობის დროს, თუმცა ზომიერებას არასოდეს არ ჰკარგავს და ხუმრობაც უყვარს.

მთელს რაიონში პირველად მისმა ბრიგადამ მოიპოვა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი. ახლახან კი თინას ბრიგადამ მეზობელ სოფელ აცანის კოლმეურნეობის მემინდვრეობის მეოთხე ბრიგადა გამოიწვია სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ახლა უკვე „ხელჩართული ბრძოლა“ აქვთ გამართული თინა ასკურავასა და მატურა მგელაძის ბრიგადების მეჩაიეებს პირველობისათვის. გამარჯვებულები მოგვიანებით გამოჩნდებიან. ჯერჯერობით კი თინა ასკურავას ბრიგადის წევრები ყოველდღიურად ორ ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს აბარებენ სამშობლოს.

### ნაადრევი ჭაღარა

კარგი ჯიშის ჩაის პლანტაციები აქვს გაშენებული ლანჩხუთის ქალაქის კოლმეურნეობას. ჩაის პირველივე ბუჩქთან თავდახრილი ჩალისქუდიანი ქალი დგას და ხელების სწრაფი მოძრაობით თვალის დახამხამებაში ივსებს მუჭებს ნორჩი ფოთლებით, მერე მოგრძო კალათში ჰყრის ფოთლებს და ისევ ბუჩქს ეპოტინებიან თითები.

თხუთმეტი წელია ჩაის ბუჩქებთან ფუსფუსებს ნათელა შოთაძე. პირველად არც მოვლა იცოდა ჩაის და არც მოკრეფა, მაგრამ დრომ თავისი მოიტანა და ნათელამაც ბევრი რამ ისწავლა. საკუთარ თავზე გამოსცადა შრომის სიძნელეც და ცხოვრების სიმძიმეც, მეუღლის დაკარგვის სიმწარეც და შვილების სასარგებლო ადამიანებად გაზრდის სირთულეც.

ალბათ ამიტომ გაჭაღარავდა ასე ნაადრევად. თუმცა ძალა და მონდომება კვლავ ახალგაზრდული აქვს. დღეში 50 კგ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს საშუალოდ. ნათელას კვლავ მოწინავე მეჩაიეთა რიგებში ასახელებენ კოლმეურნეობაში.

### გმირი მეჩაიე

მამათში ხმა დაირხა: ფილიპე კილაძის ქეთინო ყველაზე მეტ ჩაის ჰკრეფსო სოფელში. მალე ისიც თქვეს—მთავრობის კომისია ჩამოდისო ქეთოს მუშაობის სანახავად. შეშინდა ქეთო. ჩააფიქრა კომისიის ჩამოსვლამ.

ამშვიდებდნენ თანატოლები. „აქამდე თუ არ შევრცხვი, ახლა რა ჯანდაბა მომივაო!“ — თვითონაც იმხნევებდა თავს, თუმცა შიში მაინც არ სტოვებდა ქალიშვილს.

ახლაც თვალწინ უდგას დიდიხნის ამბავი. მართლაც და, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რამდენმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ორმოცდარვა წლის ექვს აგვისტოს აუღელვებლად მაინც ვერ იხსენებს ქეთევანი.

ცხელი დღე იდგა მამათში. ვეებერთელა, ცეცხლივით ანთებული მზე ბდღვრიალებდა ცაზე და სიცხისაგან იწვოდა ცა და ქვეყანა. დილიდან ხელი არ გაუჩერებია ქალიშვილს. კრეფდა და კრეფდა.

ყველანი გააოცა გამხდარი ქალიშვი-



ნათელა შოთაძე

ლის ხელების ცეცხლმა, ქალიშვილისა, რომელსაც ოცი წელი შეუსრულდა მხოლოდ. ქეთევანმა მზის ჩასვლამდე 561 კგ ჩაის ფოთოლი მოკრიფა. გაგიკვირდათ? გასაკვირვი კი ის გახლდათ, რომ ერთი კილოგრამის შესაგროვებლად საშუალოდ ოთხი ათასი ფოთოლი უნდა მოწყვიტო ჩაის ბუჩქებიდან!

კომისიამ იქვე მიულოცა გამარჯვება ქეთევანს და მერე სოფელში თქვეს: ქეთევან კილაძეს სოციალისტური შრომის გმირობა მიენიჭაო.

მალე ახალი საზრუნავი გაუჩნდა ფილიპეს. ვერ აუდიოდა ოჯახის უფროსი სამოყვროდ მოსული სტუმრების გამასპინძლებას. შრომის გმირობის გარდა სოფელში ხელსაქმეც უქეს გასათხოვარ გოგოს და ქეთევანმაც ამოირჩია ცხოვრების მეგობარი. მამათიდან ლანჩხუთში გადმოსახლდა, მაგრამ ჩაი მაინც არ დაივიწყა. მალე ვაჟი შეეძინა. ბიჭს გოგო მოჰყვა და აივსო ახალგაზრდა ოჯახი სიხარულით.

წელს შვიდი ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა ივალდებულა ქეთევანმა, გეგმით გათვალისწინებული 2. 700 კგ ნაცვლად.

მთელი ზამთარი სანიმუშოდ უვლიდა პლანტაციებს. ახლა ქეთევანის მაღალმოსავლიან ნაკვეთზე საშუალოდ 95-105 კგ ჩაი იკრიფება ყოველდღიურად.

იცის თავისი ხელების ძალა გმირმა მეჩაიემ და — შვიდ ტონაზე არ გავჩერდებიო — ამბობს.

— შენ იცი და შენმა ქალობამ, ქეთევან!

### გულიკო და ვენერა

ერთად გაიზარდნენ და ასევე თითქმის ერთნაირად აეწყო ამ ცისფერთვალა, სათნო გოგონების ცხოვრება. ერთ უბანში ცხოვრობენ. მთელ დღეს ერთად თამაშობდნენ, ნაჭრისაგან შეკერილი საზიარო დედოფალათი. ზოგჯერ წაიჩხუბებდნენ, მაგრამ ცოტა ხნით. დიდხანს ვერ სძლებდნენ უერთმანეთოდ. მერე გოგონებს უთხრეს ომი დაიწყოო. გულიკოსათვის ომი ალერსიანი მამის სახლიდან წასვლას ნიშნავდა. აღარ დაბრუნებულა ომიდან მამა. თავის დაუზოგავად შრომობდა დედამისი, რომ ლუკმა არ მოეკლო ბავშვებისათვის, მაგრამ მალე ისიც გამოეცალათ ხელიდან და ობლად დარჩენილებს უფროსმა ძმამ დაუწყო პატრონობა. უჭირდათ ცხოვრება უდედმამოებს და გულიკოც სკოლიდან ჩაიში დადიოდა. მუშაობასაც ასწრებდა და სწავლასაც. შეუმჩნევლად გაირბინა ჩაის პლანტაციაში ხუთმა წელმა და გულიკო დაქალიშვილდა, გაიგო ცხოვრების ავი და კარგი.

ვერას ახლახან შეუსრულდა ჩვიდმეტი წელი, კოლმეურნეობაში კი უკვე სამი წლის მუშაობის გამოცდილება აქვს. მამა აღარც კი ახსოვს, პატარა იყო რომ მოუკვდა. როცა წამოიზარდა, რადგან უმცროს ძმასა და ავადმყოფ დედას რჩენა უნდოდა, ვერაც კარგი ვაჟკაცივით წავიდა კოლმეურნეობაში. თავდადებულად მუშაობს, ენერგიულად დაჰფუსფუსებს ჩაის ბუჩქებს და სწავლის გაგრძელებაზე ფიქრი არ ასვენებს.

ადრინდელი სიღარიბის კვალიც აღარ არის ახლა გულიკოსა და ვერას ოჯახებში. მუხუთელი გოგონები საკუთარი შრომით ცხოვრობენ და ზრდიან შრომით მაჩვენებლებს. შარშან გულიკო ჩხაიძემ და ვერა ორაგველიძემ სამტონანახევარი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს თვითეულმა, წელს კი ოთხტონანახევრის მოკრეფა აქვთ გადაწყვეტილი.

სჯერა თავმჯდომარეს, სჯერა სოფელს.

თ. ქურდოვანიძე,

ლანჩხუთი.

ქეთევან კილაძე



# მოდის ქართული მანქანა

რა დიდია შენი სიხარული, როცა კონვეიერიდან ქართული მანქანა ჩამოდის. ამ მანქანის შექმნაში შენც მიგიძღვის წვლილი. შენი ხელებით დამზადებული დეტალებისაგან აწყობენ მას. უცხო თვალს უკვირს, ვინ მოგცა ამდენი ცოდნა, გამოცდილება, ენერგია. შენ სვანი ქალიშვილი ხარ, სვანეთის მთებივით ამაყი და შეუპოვარი. ლენტეხის რაიონის სოფელ ჟახუნდარას საშუალო სკოლა დაამთავრე თუ არა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნისაკენ გამოიწიე. მტკიცედ შეაღე ქარხნის თაღებიანი ალაყაფის კარი. აყვავებულმა გაზონებმა მიგაცილეს მეორე საჩამომსხმელო საამქრომდე. დაგაფრთხო ჩარხებისა და დანადგარების რიტმულმა გუგუნმა, მაგრამ სახემოღიმარე ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა გაგამხნევეს.

აქ, ამ მძლავრ საწარმოში, ორი ათასი ქალი მუშაობს: არიან ინჟინრები, ტექნიკოსები, ზეინკლები, ელექტრომონტიორები, ლაბორანტები, მწნეხავები, მეკოპეები.

რუხი თუჯის მეორე საჩამომსხმელო საამქროში იბადება ქართული მანქანა და ამ საამქროს უფროსმა თავის საქმის ოსტატს ანა ჩიკინიევას ჩაგაბარა. შენ უნდა აგეკრიფა იმ მანქანის დეტალები, რომლისაც პატარაობისას ასე ძალიან გეშინოდა, მანქანის ფარები მგლის თვალები გეგონა და კივილით ეფარებოდი დედის კალთას.

მთელი მონდომებით დაეწაფე საქმეს. თვალებში შეჰყურებდი მასწავლებელს და ისიც ძალას არ ზოგავდა, რომ შენთვის ბევრი ესწავლებინა. ხუმრობა საქმე არ იყო ცილინდრის ბლოკის კოპების დამზადება. იგი 32 ნაწილისაგან შედგება და 12 ოპერაციაა საჭირო. რამდენჯერ დაგისისხლიანებია თითები, მაგრამ წარბი არ შეგიხრია. ერთი წლის შემდეგ ტოლს არ უდებდი მასწავლებელს. მალე ბრიგადირად დაგაწინაურეს. 10 შრომისმოყვარე ქალიშვილისაგან შესდგებოდა შენი ბრიგადა, არც შენ ისვენებდი და არც ბრიგადის წევრებს აძლევდი მოსვენებას.

— კარგად გაზომე დეტალი. არ შეგეშალოს თორემ მოგკლავ, — აფრთხილებდი ბაბო მამარდაშვილს.

— ხელს აუჩქარე, დღეს რომ ასორმოცდაათი კოპი არ ჩავაბაროთ, შევრცხვებით, — ეუბნებოდი მარგო სამარგულიანს.

— კარგად გაასუფთავე დეტალი, თორემ საქმრო დაგიწუნებს, — ეხუმრებოდი რიმა ახვლედიანს. და ბრიგადის თვითეული წევრი ამ მძიმე ინდუსტრიის საამაყო საწარმოში აქანდაკებდა 17-18 ბლოკის კოპს.

შენ კი მეტსაც ასწრებ. ელვისსისწრაფით მოქრიან თქვენს საამქროში ავტომატური ხაზები, მცირე კონვეიერები, საბარგო ავტომანქანები, მოაქვთ ავტომანქანების კვანძები და დეტალები, თქვენი გაწაფული მარჯვენით კარგად დამუშავებული ცილინდრის ბლოკის კოპები გადადის შენს მეზობლად მომუშავე ამირან კაპანაძის ბრიგადაში.

ამირანის ბრიგადამ დიდი ხანია მოიპოვა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება. არ გასვენებდა ფიქრი, გინდოდა გამოგეწვია შეჯიბრებაში და ვაჟკაცებთან მხარდამხარ გევლო. არ დააყოვნე. მეგობრებმა მოგიწონეს გადაწყვეტილება. ნაწილების დამაგრება ადრე წებოთი და გლინით ხდებოდა. შენ ძველი მეთოდი უარყავი და ალუმინით დაამაგრე ცენტრალური ნაწილები. პირველი ცდა გულის ფანცქალით ჩაატარე. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ერთი წლის მანძილზე თქვენმა კოლექტიურმა ერთსულოვანმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. შენი ბრიგადა დაამშვენა წითელ აბრაზე ლამაზად გამოყვანილმა ასოებმა:

„აქ იბრძვის, ეძებს და უნარიანად იყენებს არსებულ რეზერვებს კომუნისტური შრომის ბრიგადა“.

კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირია ნათელა ონიანი.

სკკპ ოცდამეორე ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ახალი ვალდებულებები დაგაკისრა. გადაწყვიტე მეტი რაოდენობით დაგემზადებინა ცილინდრის ბლოკის კოპები. აქამდე სათადარიგო ნაწილებს, მათ შორის ცილინდროვან ბლოკებს, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის მხოლოდ მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის ავტომშენებლები ამზადებდნენ, ახლა თქვენი ქარხნის კოლექტივი მხარში ამოუდგა მოძმე ქარხნის კოლექტივს. შენ შენი ბრიგადის წევრებთან ერთად წინათ 150-200 დეტალს ამზადებდით, ახლა 250-საც მიაღწიე და შვიდსაათიან სამუშაოს ექვს საათში ასრულებ. წინ ახალი მიზნები გაქვს. ტექნიკურ სასწავლებელში მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობ, რათა წელს წარმოებისაგან მოუწყვეტლად პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ჩაერიცხო.

ხალისიანი და შინაარსიანია შენი შრომა. აგერ კიდევ ჩამოდის კონვეიერიდან აწყობილი მანქანა. ქარხნის ეზოში გრძელ კოლონებად ჩამწკრივებულან ისინი. გიხარია, ძალიან გიხარია, რომ შენი და შენი თანამოსაქმეების მიერ დამზადებული ქუთაისური მანქანები დაჰქრიან ჩვენი ქვეყნის ვრცელ გზებზე.

ოლია გელოვანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახსოვარი

მოთხრობა

მხატვარი ციალა კანდელაკი

სოფელში ორი დღით ჩასულს, სახლში გული არ დამიდგა. ნაცნობ-მეგობრების ნახვა, ამხანაგებთან გავლა მწყუროდა, მზე როგორც კი გადაიხარა, პირდაპირ კლუბისკენ გავეშურე. გზაში მომაგონდა, რომ დაღამებამდე იქ ვერავის ვნახავდი და ჩაის ფაბრიკის წინ გადაშლილ სკვერში შევუხვიე.

ანაზდად, ჩემი ყურადღება ხუთიოდე წლის ბიჭუნამ მიიპყრო. ჯოხის მერანს მოაგელვებდა, მათრახივით ატრიალებდა წკეპლას. უბრალოდ ეცვა ბიჭუნას, ძალიან უბრალოდ, ცალი ფეხსაცმლის ლანჩაც გვერდზე მოქცეოდა, მაგრამ ისეთი კარგი იყო, სულში ჩაიძვრენდა კაცი. ნეტა ვისია-მეთქი გავიფიქრე და დავუძახე.

ბიჭუნა შედგა, ჰაერში შემართული წკეპლა ძირს დაუშვა და გაოცებით ამომხედა. როდესაც მივუახლოვდი და ალერსით ქოჩორი ავუშალე, წარბები შეყარა და ჯიქურ გაბრუნდა. გამიკვირდა, ეს რა უკარება ყოფილა-მეთქი. წავეტანე, მაგრამ გამექცა, სიჩქარით ფეხი ქვას წამოკრა და მტვერში ამოიგანგლა.

ატირებული ბავშვი ხელში ავიტაცე.

— ვისი ხარ? — ვკითხე დაყვავებით.

— დედიკოსი, — სლუკუნით მიპასუხა მან.

— სადაა მერე შენი დედიკო?

— აი, იქ.

ფუნჩულა თითს მზერა გავაყოლე. მოშორებით, მყუდრო კუთხეში, განმარტოებული ბებერი ვერხვის ქვეშ, ქალი შევნიშნე. ძელსკამის საზურგეს შუბლით ჩამოყრდნობოდა. სახე არ უჩანდა, ძნელი სათქმელი იყო, თვლემდა თუ ფიქრების მორევში ტრიალებდა. სანამ თავზე არ წავადექით, არც კი შერხეულა.

განზრახ ჩავახველე. იგი შეკრთა. ვგონებ, შეშინდა კიდეც. ბავშვი კალმახივით გამისხლტა მკლავებიდან. არ მახსოვს, ოდესმე ასე დავბნეულიყავი. ღრუბლიან ცაზე ეულად ამოწვერილ მთვარის დისკოს არასოდეს დაკვირვებიხართ? აი, იმ დროს, როდესაც ჯანღი ჯერ კიდევ ვერ მორევია ნათელს. სწორედ ისეთი მიმქრალი ფერი ედო, ისეთი მუქჩრდილებით ჰქონდა თვალები ჩაღამებული.

— სად იყავი, გია. ხომ გითხარი შორს არ წახვიდე-მეთქი, — მიუბრუნდა იგი ბავშვს. ჩემთვის არც შემოუხედავს.

ბიჭუნამ არაფერი უპასუხა, დამნაშავის მძიმე ნაბიჯებით მიუახლოვდა და გვერდით აეტუზა.

ისინი წავიდნენ, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხელაც არ მოუხედიათ. მიდიოდნენ ნელა, მოზომილი ნაბიჯებით. ქალს თითქოს მძიმე ტვირთი აწვა მხრებზე. შემხვედრებს პირს არიდებდა, იმ ბილიკს ეტანებოდა, სადაც ნაკლებად ჩანდა ხალხი. კინაღამ ვიყვირე: დაიცათ, სად მიხვალთ, გამაგებინეთ, რა გიჭირთ-მეთქი. ერთხანს გაოგნებული ვიდექი. შემდეგ ჩემდაუნებურად უკან გავყევი მათ. ხომ ხდება ასე: ზოგჯერ სრულებით უცნობი ადამიანის ბედზე ჩაფიქრდები, გინდა გაიგო მისი ტკივილები, მისი ცხოვრების ასავალ-დასავალი.

ჰოდა, სწორედ ასე მომივიდა, მაგრამ, სანამ დედა-შვილს წამოვეწეოდი, რაჟდენ კიკაბიძეს შევეფეთე. სულო ცოდვილო, ერთი კი გავივლე გუნებაში: მოდი, თავს ისე მოვაჩვენებ, ვითომ ვერ შევამჩნიე-მეთქი. არ გამივიდა. იგი მომესალმა და ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა: დაიცა, შე კაი კაცო, ასპირანტურაში სხვებიც სწავლობენ, მაგრამ კუთხე-მეზობლებს არ ივიწყებენო.

რა უნდა მექნა! რაჟდენის ათასგვარ კითხვას პასუხები შევაგებე. მას ყველაფერი აინტერესებდა: ჩემი სადისერტაციო შრომის თემა, თბილისის ახალმშენებლობანი, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი და, ვინ იცის, კიდევ რა. ბოლოს ქალიშვილებზე ჩამოაგდო სიტყვა. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. მართალია ამ კაცს სოფელში წონა ჰქონდა, მასზე, როგორც ჩაის ტექნოლოგზე, ბევრ კარგს ამბობდნენ, მაგრამ ასკეტივით ატარებდა წუთისოფელს, მშვენიერი სქესის მიმართ ერთობ გულცივი და უკარება იყო. ამის გამო ათასგვარი ხმა დადიოდა. ზოგი ამბობდა: შეყვარებულმა უღალატა და ფიცი დასდო, სხვა ქალს არ გაეკაროსო. ზოგი უფრო შორს მიდიოდა... მოკლედ ასე იყო თუ ისე, რაჟდენთან ქალებზე ლაპარაკს ყველა გაურბოდა. ახლა კი თვითონ წამოიწყო.

ერთი სული მქონდა, როდის მოათავებდა სათქმელს, თვალი დედა-შვილისკენ მეჭირა. ისინი უკვე გადიოდნენ სკვერიდან...

რაჟდენი ერთბაშად შედგა. სკვერის კუთხეში, ბუჩქებში ამოსულ იფნურას დააცქერდა და შეცვლილი ხმით მითხრა:

— შენი ხნის რომ ვიყავი, იფნურას ვერც კი ვამჩნევდი მინდვრის ყვავილებში, ახლა კი ყველაზე მეტად მიტაცებს. ხომ მშვენიერია, ბუჩქნარის ნამდვილი დედოფალია, არა?

კიდევ უფრო გავოცდი. რაჟდენი და ყვავილები? გამიგონია, გაზაფხული უცნაურად აღელვებსო ადამიანს; სულსაც ისევე სითბო სჭირდება თურმე, როგორც, აი, ამ მინდვრის ყვავილებს, რომელთაც დავცქერით.

ყვავილს მოსაწყვეტად წავეტანე.

— ჰა, არ გაბრიყვდე! — მკლავში მწვდა იგი, — ხელზე ბებერებს გაგიჩენს. საოცარი თვისება აქვს: თუ შეეხე და მიუალერსე, ზოგიერთ ქალიშვილივით დიდხანს დაგამახსოვრებს თავს.

რაჟდენის მიამიტობაზე გულიანად გამეცინა.

— არ გჯერა? — წყენა დაეტყო ხმაში, — იფნურაზე კიდევ უფრო უცნაურს გეტყვი: იგი ისე იტაცებს ცეცხლის ალს, როგორც ლამაზმანი ვაჟკაცის გულს.

გაზაფხულმა ფანტაზიის აშლაც იცის და რაჟდენის ალტკინება ვარდობის თვეს მივაწერე. მაგრამ, აი, იფნურას შორიახლოს ასანთს გაკრა და, ჰოი, საოცრებავ! მთელი ბუჩქი ერთბაშად ალში გაეხვია. არ იფიქროთ, ცეცხლს ყვავილებისათვის რაიმე ვნება მიეყენებინოს. არა, ალი ისევ სწრაფად ჩაქრა, როგორც იფეთქა. იფნურა კვლავ თავმომწონედ იდგა.

კვლავ დავადექით ბილიკს. ორივენი ვდუმდით. მე რაჟდენზე ვფიქრობდი, ის კი, ვინ იცის-რაზე.

ბებერი ვერხვის ქვეშ მდგარ ძელსკამს რომ გავუსწორდით, რაჟდენს მოუსვენრობა დაეტყო, მოიქუშა, ნაბიჯი აერია.

— თუ კაცი ხარ, ჯაყვა გექნება და მათხოვე, — მოულოდნელად მომახალა და მზერა ამარიდა.

უცნაურად მეჩვენა მისი თხოვნა, მაგრამ არაფერი შემიმჩნევია. ერთხანს შორიდან შევყურებდი, როგორ ჩორკნიდა ძელსკამის საზურგეს. ბოლოს გულმა ვერ მომითმინა და მივედი. საღებავგადაცლილ ფიცარს მტკავლის ოდენაზე აჩნდა ჩამონაფხეკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მორჩა! — მძიმედ ამოისუნთქა მან და ჯაყვა დამიბრუნა. იმ წუთში რაჟდენის სახეს ფერფლის ფერი ედო. ხელები უკანკალებდა.

— რა მოგივიდა, ცუდად ხომ არა ხარ? — შეშფოთებით ვკითხე და თითქმის ძალით დავსვი ძელსკამზე.

რაჟდენმა გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

—არაფერი, არაფერი, — ყრუდ ამოილაპარაკა და გამშრალი ტუჩები მოილოკა. — სიჭაბუკის კვალი წავშალე ამ სკამზე, სიჭაბუკის და სიყვარულის.

— სიჭაბუკის და სიყვარულის?!

— ჰო, ნამდვილი სიყვარული, ისე, როგორც სიჭაბუკე, მხოლოდ ერთხელ მოდის ცხოვრებაში. იგი ყვავილბატონებივითაა. გულს ვერაფერი მოვუხერხე, მაგრამ...

კვლავ მოუკიდა პაპიროსს, თუთუნის ბოლში გაეხვია და ბებერ ვერხვს დააშტერდა. ტოტებგაშლილი, ასწლოვანი ვერხვი ამაყად და ზვიადად იდგა. ნაგვალავ მიწასავით დახეთქილ ხეშეში მერქანი ჩამოშავებოდა, მაგრამ მისი სიმუქე ფოთლების სილაჟვარდეში იკარგებოდა. შრიალებდა ვერხვი შეუსვენებლივ და ფოთლების შარიშურივით მესმოდა რაჟდენის მთრთოლვარე ხმა. მე არ მითხოვნია მისთვის ეამბნა რაიმე თავისი ცხოვრებიდან. როგორც ჩანს, ნაღველმა თავისთავად გადმოხეთქა.

— ამ ძელსკამის საზურგეზე ამოჭრილი ასოები იარებს მიახლებდა, დაკარგულ სატრფოს მაგონებდა. იგი ჩვენთან, ფაბრიკაში სამუშაოდ მეზობელი სოფლიდან მოვიდა. გავიცანი თუ არა, მოსვენება დავკარგე. მარტო მე არ ვიყავი ამ დღეში. გულნარას გამოჩენამ მთელი ფაბრიკა ააფორიაქა. იგი რომ სპეცსამოსში გენახა, უხეში ქსოვილი აბრეშუმად მოგეჩვენებოდა. მუშაობის დროს კისერი გვეღრიცებოდა ბიჭებს. ისეთი ღიმილი იცოდა, ჩვენ კი არა, მოხუცები ვერ იკავებდნენ თავს აღტაცებისაგან.

ეჰ, ვინ იცის, რამდენი ღამე გავტეხე თეთრად გულნარაზე ფიქრში. იგი ყველასთან თანაბრად ალერსიანი იყო. ბიჭები კი ერთმანეთს ექიშპებოდნენ. გულნარა თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, სადაც მივიდოდა, ახალ კოცონს აჩაღებდა. საკვირველი ის იყო, ამ კოცონის პაწაწინა ნაპერწკალიც კი არ ხვდებოდა მის გულს. ალში ტრიალებდა, უვნებელი კი იყო. აი, სწორედ ისე, როგორც ბუჩქნარის დედოფალი — იფნურა.

ფაბრიკაში სხვებზე მეტად თითქოს მე მოვწონდი. იყო საღამოები, როდესაც ამ ვერხვის ქვეშ ჩამომსხდარნი, ერთმანეთს თვალებში შევციცინებდით, ვინ უფრო ადრე შეარხევსო წამწამებს. საყვარელი ქალიშვილის ნამიანი თვალების ჯადოს დიდხანს ვერ ვუძლებდი. აბა, ვარსკვლავებსაც თუ დავჯაბნიო, გაიცინებდა და ცას მიაშტერდებოდა. სულს გავტრუნავდი. მისი თმის სურნელებით გაბრუებული, მეც შევყურებდი უკიდეგანო სივრცეში გაბნეულ ციცინათელებს. მათი ციმციმი მახარებდა: ვარსკვლავებიც ვერ უძლებენ-მეთქი შენი თვალების ელვარებას.

სიყვარულში გამოტყდომას ვერ ვუბედავდი. დასწყევლოს ეშმაკმა, სხვასთან არ ვიყავი მორცხვი, გულნარას გვერდით კი ბავშვივით ვიბნეოდი. ზოგჯერ ფრთხილად, ენის ბორძიკით შორიდან რომ მოვუვლიდი, იგი გაკვირვებით შემხედავდა და გადაიკისკისებდა. მაშინვე ენას ჩავიგდებდი, მეშინოდა, არ გამებრაზებინა.

იმ ხანებში ცვლის უფროსად ერთი ახალგაზრდა ინჟინერი დაგვინიშნეს. მისი ვინაობა არ მკითხო, თუ კაცი ხარ; სახელი ჩვეულებრივი ქართველი ვაჟკაცისა ჰქონდა, ლევანს ეძახდნენ, გული კი... ეჰ, როგორ გითხრა, გული არ ჰქონდა, თორემ...

რაჟდენმა არ დაამთავრა სათქმელი, ფეხსაცმლის წვერით მიწას დაუწყო ჩიჩქნა, თითქოს დამარხულ განძს ეძებდა.

— გულნარას სიყვარულში შეგეცილა?—ვერ მოვითმინე მე.

— ერთხელ, სწორედ ამ ადგილზე ვისხედით, — თავაუწევლად განაგრძო მან. — გულნარა ყვავილს წიწკნიდა საკუთარ ფიქრებში გართული, ყურს არ მიგდებდა. ნაწყენმა ჯაყვა ამოვიღე, ჩემი ოცნება, ნატვრა და სურვილები სამი ასოთი და მათემატიკური ნიშნებით გამოვხატე ფიცარზე. საქმე რომ მოვილიე, გულნარას შევხედე. თვალები მიელულა და სევდიანი ღიმილით შემომყურებდა. „გ+რ=გ.“ ხმამაღლა წაიკითხა მან ჩემი ნაცოდვილარი, ამოიოხრა და მკითხა:

— ეს მეორე „გ“ რაღას ნიშნავს?

— ჩვენს ბიჭუკელას გიას დავარქმევთ, ვერ მიხვდი?

— რა მიამიტი ხარ, რაჟდენ! აბა; რა საჭიროა სკამის ჩორკნა.

— შენ რომ გულს მიჩორკნი? რატომ არ გეცოდები, გულნარა.

— მეცოდები, რაჟდენ, ძალიან მეცოდები, მაგრამ რა ვქნა...

— სხვა გიყვარს?

მან უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არ მოგწონვარ?

პასუხი არ გაუცია.

—მითხარი, როგორ მოვიქცე, იქნებ შევძლო და...

— აი, ის ახალი ინჟინერი სულ სხვანაირია, შენ კი...

— ცუდი ვარ?

— არა, მაგრამ...

— თუ ინჟინრობაზე მიდგა საქმე, მეც შემიძლია უმაღლესი დავამთავრო.

მან უნდობლად გაიღიმა.

— ჩაის მწონავი რომ ვარ, იმიტომ მიწუნებ? გულდაწყვეტით ვთქვი.

— რას ამბობ! — შეწუხდა გულნარა, — განა ლევანი შენზე ნაკლები ვაჟკაცია?!

ვაჟკაცობისა რა მოგახსენო, შესახედაობით კი მართლაც, არ დაედებოდა წუნი. საზოგადოებაში თავის დაჭერით ყველა ჩვენი ბიჭისაგან გამოირჩეოდა. უფროსებთან და ქალიშვილებთან მუდამ ღიმილი ეკერა სახეზე, ენაც დაშაქრული ჰქონდა. განვითარებული ახალგაზრდა ჩანდა. იგი რომ ფაბრიკის წითელ კუთხეში პიანინოს მიუჯდებოდა, ჩვენს ქალიშვილებს ელეთ-მელეთი მოსდიოდათ. გულნარა მკერდზე დაიწყობდა ხელებს და ისე შეჰყურებდა, როგორც მორწმუნე ხატს. მეც გატაცებით ვუსმენდი. ეჰ, თურმე გულში ჩახედე ადამიანს, გულში...

მძიმედ ამოისუნთქა და განაგრძო:

— გულნარას გადაკრულმა სიტყვამ ცეცხლი მომიკიდა სატრფოს დაკარგვის შიშმა გამბედაობა შემძინა და გადავწყვიტე იმდენხანს სათუთად ნატარები გრძნობა გადამეშალა

ვინ მაცალა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოხ, ნუ გამიწყალე გული! — ცივად მითხრა და, როდესაც მისი ნაწნავებისაკენ ხელი გავაპარე, წამოხტა, თვალსა და ხელს შორის გამიქრა.

იმედი არ დამიკარგავს, სულერთია თავს შევაყვარებ-მეთქი, ვფიქრობდი. საშუალო სკოლა ორი წლის წინათ მქონდა დამთავრებული, ბევრი რამ დამვიწყებოდა და გამიჭირდა უმაღლესში მისაღები გამოცდების ჩაბარება, მაგრამ სიყვარულს რა არ შესძლებია! სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი გავხდი. ამხანაგები მილოცავდნენ, ყველას უხაროდა ჩემი წარმატება. გულნარა კი ვითომც არაფერი, სასწორთან თავდახრილს ისე ჩამივლიდა, არც კი შემომხედავდა. თანდათან გულჩათხრობილი გავხდი. ფიქრი და საკუთარ თავთან ლაპარაკი დამჩემდა. მეგობრები, რომლებმაც ჩემი ტანჯვის შესახებ იცოდნენ, მირჩევდნენ, დამევიწყა გულნარა. ჩემგან მალულად მასაც უჩიჩინებდნენ ნამდვილი სიყვარული დაეფასებინა. არაფერი გამოვიდა. ვერ დავივიწყე სატრფო, ვერც ის შეელია ლევანს. თუმცა, ვატყობდი, რომ მათ შორის რაღაც ხდებოდა. წინანდებურად კისკისა არ იყო იგი, გახდა და ჩაიქუფრა.



ერთხელ ღამით, აი, ამ ბებერი ვერხვის ქვეშ ვწევარ და ვოცნებობ. ვხედავ, ისინი მოდიან. სხვა რომ არაფერი მომყვა, სიბრაზისაგან ბალახები დავგლიჯე. ჩრდილები მოახლოვდნენ, უკვე გარკვევით მესმოდა მათი ხმა.

— აბა, ასე როგორ შეიძლება, ხალხში თავის დაჭერა არ იცი. რაც ენაზე მოგადგება, ყველაფერს წამოაყრანტალებ, გაუთლელი ხარ, შენთან გავლაც კი მრცხვენია, — გულმოსულად მოლაპარაკობდა ჩემი მეტოქე.

— ისეთი რა ვთქვი! — კვნესოდა გულნარა.

— ერთი ამას დამიხედეთ, ისეთი რა თქვა ქალბატონმა! ამხანაგების წინაშე თავი კინაღამ მომჭერი, შენი ტოლი უნდა მოგენახა, ჯერ ხელებზე დაიხედე რას გიგავს!

— რა ვქნა, ფაბრიკაში ვმუშაობ, მეც ვისწავლი და...

— მამა გიცხონდა! ახლა ესღა მაკლია, შენს დიპლომს დაველოდო.

—ვინ გეხვეწება, დაელოდეო...

— მაშ, ასე?! კეთილი, როგორც გითხარი, შენ შენთვის, მე ჩემთვის. ჩვენს ურთიერთობაზე, იცოდე სიტყვა არსად წამოგცდეს. სულერთია, ვერაფერს დამიმტკიცებ.

იგი უცებ შებრუნდა და სიბნელეს მისცა თავი.

— დაიცა, მარტო ნუ დამტოვებ! — შეჰკივლა გულნარამ და უკან გამოუდგა, მაგრამ ხუთიოდე ნაბიჯის გარბენის შემდეგ შედგა და ჩამოვარდნილი მყუდროება გულამომჯდარმა ქვითინმა შესძრა.

არ ვიცი, როგორ გავჩნდი მასთან. ერთი სიტყვაც რომ დასცდენოდა, დავეწეოდი იმ გველს და თავს გავუსრესდი, მაგრამ, გულნარამ, როგორც კი მიცნო, ხელები გაასავსავა, აქაოდა არ მომეკაროო. მის ზვიად გამოხედვაში დაცინვაც გამოსჭვიოდა, საყვედურიც, ყველაზე მეტად კი ზიზღი.

დღემდე არ ვიცი, ვის ეკუთვნოდა ის ზიზღი, მე თუ იმას. იქნებ ორივეს? მაგრამ რომ არაფერი დამიშავებია?!

ზურგი შემაქცია და წავიდა. მას შემდეგ, აგერ, ექვსი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში არსად შემხვედრია. ამბობენ, მშობლებთან დაბრუნდა, მაგრამ შერცხვენილს სახლის კარი მოუხურესო.

ვიღაც ნათესავს შეკედლებია. უკანონო ბავშვი რომ გაუჩნდა, სირცხვილით გარეთ ვერ გამოდიოდა თურმე. შემდეგ ამდგარა და თბილისში წასულა. ვინ იცის, როგორ წარიმართა მისი ცხოვრება... თამროს ბედი ხომ გახსოვს.

— ვინ თამროსი, კაცო!

— ან ქრისტინესი, — განაგრძო მან.

— რას ამბობ, რაჟდენ, მაშინ სულ სხვა დრო იყო. ახლა ჩვენში...

— უპატრონო, მარტოხელა დედაქალაქში რას გაიკვლევდა გზას, — სიტყვა გამაწყვეტინა მან, — ვიცი, რომ დათიკოები და იასონები გადაშენდნენ, მაგრამ ლევანისთანა არამზადები განა კიდევ არ შემორჩა ქვეყანას?

— ნუთუ ასე იოლად შერჩა ქალიშვილის შერცხვენა. არავინ არ უპატრონა?

— გულნარას არ უჩივლია. ხელი არ ჰქონდათ მოწერილი, რას გახდებოდა. სანამ ყველაფერი გამომჟღავნდებოდა, ლევანმა გუდა-ნაბადი აიკრა და წავიდა. შესაძლოა, სადმე კარგი თანამდებობაც იგდო ხელში. ვინ იცის, იქნებ შენს მეზობლადაც ცხოვრობს თბილისში. შეხედავ — კაცია, მუდამ ღიმილი აკერია ბაგეებზე. განათლება აქვს, სული კი... აბა, ყველას ხომ ვერ ჩასწვდები სულში. ეხ, ძალიან ამაყი იყო გულნარა, თორემ...

რაჟდენი დადუმდა. შემეცოდა შემცივნულ ბეღურასავით მობუზული დევივით ვაჟკაცი. „რა არ ხდება ამ დალოცვილ ქვეყანაზე. სიყვარული მართლაც ყვავილბატონებივითაა — წარუშლელ კვალს ტოვებს ადამიანში. აფსუსი არ არის ასეთ ვაჟკაცს დაიარებული გული ჰქონდეს?“ — გავიფიქრე და რატომღაც ბუჩქნარის დედოფალი მომაგონდა, შემდეგ პატარა გია და ამ ძელსკამზე ჩამომჯდარი მისი დარდიანი დედა.

— უჰ, რა დრო გასულა! — წამოიძახა რაჟდენმა და წა-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მოიწია. — სოფელში დიდ ხანს დარჩები? ო, ხვალ თუ აპირებ დაბრუნებას, ნახვამდის. თბილისი მომიკითხე, ჩვენი ჭაღარა თბილისი. ძალიან მომენატრა, მაგრამ რა ვქნა, გადაუდებელი საქმეები მაქვს. მალე ჩაის ფაბრიკის გაფართოებას ვიწყებთ...

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მოერიდა. მივხვდი გულნარასთან მატანდა სალამს, თვალებით მთხოვდა მეპოვნა მისი გზა-კვალი. ხელი მაგრად ჩამომართვა და წავიდა. ბინდი უკვე ვერხვების ტევრში იბუდებდა. მეც ავდექი. ნაბიჯი რომ მოვინაცვლე, რაღაცას ფეხი დავადგი. დავიხარე და ლურჯყდიანი წიგნაკი შემრჩა ხელში. „დედის პირადი წიგნაკი სახელმწიფო დახმარების მისაღებად“ — ეწერა ზედ. გადავშალე თავფურცელი და...

გულნარა ფრუიძე! აი, ვინ მჯდარა ამ ძელსკამზე ჩაფიქრებული. შემდეგ მისამართი გადავიკითხე. თბილისი, სტუდქალაქი... ნეტა, რატომ ჩამოვიდა, იქნებ სიჭაბუკისა და სიყვარულის კვალი მოინახულა? ალბათ, კვლავ მოვა სკვერში, მარტოხელა დედა თავისი ბიჭუნათი. ნაცნობებს რომ მოერიდოს, ისეთ ბილიკს გამოყვება, სადაც ნაკლებად იქნებიან მოსეირნენი, მოვა და სკამის საზურგეზე წარწერას რომ ვერ დაინახავს, ატირდება. ასეა: ხშირად ნამდვილ მეგობარს მაშინ აფასებ, როდესაც მას სამუდამოდ კარგავ.

მეორე დღეს საქმეები გამომიჩნდა და მარტოხელა დედის პოვნა და მისთვის წიგნაკის გადაცემა ვერ მოვახერხე. თბილისში რომ ჩავედი, ვინანე, რატომ რაჟდენს არ დავუკავშირდი-მეთქი. გულმა ვერ მომითმინა და სტუდქალაქში წავედი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაემთავრებინა გულნარას. სამუშაოდ ჩვენს სოფელში გაენაწილებინათ.

ადამიანის ცნობისმოყვარეობის შესახებ მოგეხსენებათ. მივიკითხ-მოვიკითხე: როგორ ცხოვრობდა, ვინმე ეხმარებოდა თუ არა. ბიჭუნა საბავშვო სახლში იზრდებოდა, თვითონ კი სტიპენდიაზე იყოო-მითხრეს. მარტოხელა დედის ცხოვრებიდან უმწიკვლო სურათები გადამიშალეს...

მალე კვლავ სოფელში ვიყავი. ნამგზავრს ტანზე არ გამომიცვლია, ისე გავეშურე ჩაის ფაბრიკისაკენ. ზედ სკვერში, შესასვლელთან გია შემეფეთა. ახლა ჯოხის ცხენზე კი არა, სამბორბლიან ველოსიპედზე იჯდა. ახალთახალი შარვალ-ხალათი და კოხტა ფეხსაცმელები ეცვა. ბიჭუნას შორიდანვე შევცინე, მან ველოსიპედი ჩემსკენ გამოაქანა.

— გია, დედიკო სად არის? — მოუთმენლად ვკითხე მისი ეგზომ შეცვლით გახარებულმა.

— დედიკო ფაბრიკაშია, მამიკო კი, ეგერაა, გაზეთს კითხულობს.

— მამიკო?! — კისერი წავიგრძელე. ბებერი ვერხვის ქვეშ რაჟდენ კიკაბიძე იჯდა. ოთხად გაკეცილი გაზეთი იქვე გვერდით დაედო და ძელსკამის საზურგეს ჯაყვის წვერით ჩორკნიდა.

დამინახა თუ არა, სახეზე ალმური მოედო.

— აა, ეს შენ ხარ? — შეცბუნებით წამოიწია და დამორცხვებული ღიმილით შემეგება.

ძელსკამის საზურგისაკენ უნებურად გამექცა მზერა. მასზე მკაფიოდ ჩანდა განახლებული წარწერა: „გ + რ = გ“.

რაჟდენმა მკლავში ხელი გამომდო და პატარა გიასთან ერთად სასეირნოდ გამიყოლია. ბუჩქნარში მონარნარე იფნურას ორივემ ერთად შევხედეთ. მინდვრის ყვავილს ლაღად გაეშალა მუქი იისფერი ძარღვებით დაქსელილი ყვავილები და მზეს შესციცინოდა. ბუჩქები უკვე ვერ ფარავდა მის მშვენებას.

ლურჯყდიანი წიგნაკის შესახებ რაჟდენთან სიტყვა არ დამცდენია, არც გულნარასათვის მიჩვენებია იგი შემდეგ. ან რა საჭირო იყო. დაე, იგი ჩემთან დარჩეს, როგორც სახსოვარი განახლებული წარწერისა.

**ოთარ ლვამბერია**

# მოწყალებას არ უნდა ველოდოთ

1936 წელი.

თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტის ლაბორატორია. ირგვლივ ქიმიური ხელსაწყოები. მაგიდაზე გამოსახდელი აპარატი, კრისტალიზატორი. კრისტალიზატორში უფერული, გამჭვირვალე, ნემსისებრი კრისტალები, რომლებსაც სათუთად ეხება თეთრხალათიანი ქალიშვილის თითები. მის სახეზე უზომო მწუხარება აღბეჭდილა. ნუთუ დაკარგა რაღაც მეტად ძვირფასი?

დიახ! რამდენიმე წამის წინ მან დაკარგა ერთხელ ნაპოვნი და დაკარგული პრეპარატი.

• • •

ეს იყო 1896 წელს. ტომსკის უნივერსიტეტის პროფესორმა ლემანმა ყურადღება მიაქცია შავი ზღვის პირას გავრცელებულ მცენარეს—ღვედკეცას. იმერეთში მას მაკრატელას უწოდებენ, გურიაში — ჯასკუტას. ბოტანიკოსებისათვის იგი დიდი ხანია ცნობილი იყო, აფრიკის ტომები მას მშვილდისრის მოსაწამლად ხმარობდნენ. დაინტერესებულმა პროფესორმა მისგან მიიღო გლუკოზიდი, რომელსაც პერიპლოცინი უწოდა. კლინიკური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ეს პრეპარატი გულის მოქმედებასა და სისხლის წნევაზე ისეთივე კეთილმყოფელ გავლენას ახდენს, როგორსაც, საერთოდ, გულის საშუალებანი. ბოლოს გამოირკვა, რომ იგი თანდათანობით აძლიერებს გულის მოქმედებას, ახლო დგას დიგიტალინთან და წმინდა სახით სავსებით გამოსაყენებელია ვენაში შესაშხაპუნებლად. მიუხედავად ამისა, მეფის რუსეთში უყურადღებოდ დარჩა ეს მნიშვნელოვანი აღმოჩენა.

მართალია, ლემანმა დაახასიათა მის მიერ აღმოჩენილი პრეპარატი, მაგრამ იმდენად ბუნდოვნად აღწერა მიღების წესი, რომ შთამომავლობას თავსატეხი რებუსი დაუტოვა. რამდენს ცდილობდნენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ მის მიღებას! უამრავი ცდა ტარდებოდა მოსკოვის სამეცნიერო-საკვლევ ქიმიურ-ფარმაცევტულ ინსტიტუტში, ცდები დაიწყო თბილისის ფარმაკო-ქიმიურ ინსტიტუტშიც, მაგრამ უშედეგოდ...

• • •

— მაშ, რაღა არის ეს? სასწაული? — არა, წმინდა შემთხვევითობა. გაოცებული ქალიშვილის წინ კრისტალიზატორზე ლემანის პერიპლოცინის კრისტალებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი იქნებოდა, ქეთევანს რომ გზადაგზა ჩაეწერა რეაქციის მსვლელობა, აღებული დოზები, რაოდენობრივი შედგენილობანი, კონცენტრაციის ხარისხი და, ერთი სიტყვით, ყველაფერი. მაგრამ უკვე გვიანაა. პერიპლოცინი ისევ საიდუმლოების ბურუსში შთაინთქა. ქეთევანმა დაკარგა მოსვენება, დაავიწყდა ოჯახი, ქმარი, შვილი.

ცდა ისევ თავიდან უნდა დაიწყოს, მაგრამ საქმის მთელი სირთულე იმაშია, რომ ოდნავი უზუსტობის დროს მიიღება სულ სხვა ნივთიერება. საჭიროა მთელ შესაძლებლობათა მობილიზაცია, ამასთან ცდის მიმდევრობისა და ყოველგვარი დეტალის ფიქსირება. პროფესორი ქუთათელაძე ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებს ქეთევანს, აკვირვებს მისი ასეთი ენერგიული, დაჟინებული მუშაობა. „რა ნებისყოფაა“ — ფიქრობს იგი, როცა სახლისაკენ თითქმის ბრძანებით ისტუმრებს მთელი დღის ნაშიმშილარ ექსპერიმენტატორს.

დაძაბულ შრომაში გავიდა შემოდგომა, ზამთარი და, ეს იყო მეოთხასე თუ მეხუთასე ცდა, ქეთევანს აღარ ახსოვს... კრისტალიზატორში ისევ გამოკრისტალდა უფერული, გამჭვირვალე, ნემსისებრი კრისტალები.

პერიპლოცინი! დღეიდან იგი მზის სინათლეს ვეღარ დაემალება. ქეთევანმა შეიმუშავა მისი მარტივი ტექნოლოგიური პროცესი და ახალი პრეპარატი წარმოებაში დაინერგა. პერიპლოცინი ჩადგა მეცნიერების სამსახურში.

მედიცინის მუშაკებმა დაიწყეს პერიპლოცინის სხვადასხვა კუთხით შესწავლა და დაიცვეს სადოქტორო დისერტაციები. ქეთევან მუჯირს მიენიჭა საავტორო უფლება და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ასე იქნა გახსნილი ღვედკეცას ქერქში არსებული საიდუმლოება პერიპლოცინისა, რომელსაც ამერიკასავით ხელმეორედ დასჭირდა აღმოჩენა. ეს იყო ახალგაზრდა ქართველი ქალის პირველი დიდი და სერიოზული გამარჯვება, მისი მეცნიერული ბიოგრაფიის პირველი საფეხური.

* * *

თითქოს არც ისე დიდი დრო გასულა ბავშვობიდან, თითქოს გუშინ იყო, რომ დასდევდა პეპლებს, აგროვებდა ყვავილებს, ფოთლებს და წიგნებში დებდა გასახმობად. შემდეგ ადარებდა ერთმანეთს ფერით, სიდიდით. ხშირად ბებიას მიუჩოჩდებოდა და თვალყურს ადევნებდა, როგორ ნაყავდა ბებია ფილში სხვადასხვა ფოთლებისაგან წამალს, ამზადებდა მალამოებს. „საიდან იცის ამდენი? მას ხომ სკოლაში არ უსწავლია?“ — აი, განათლება რომ ჰქონოდა, ვინ იცის, რამდენ სიკეთეს მოუტანდა ხალხს, რამდენს განკურნავდა მისი ბალახის წამლები? „აუცილებლად ბუნებისმეტყველი გამოვალ!“ — გულში გაივლებდა ხოლმე ქეთევანი.

და აი, დადგა ეს დღეც. ქეთევან მუჯირმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო დარგი ფარმაკო-ქიმიკოსის სპეციალობით და მალე ციტრუსებსა და ჩაის პლანტაციებს მიაშურა ანასეულის კვლევითი ინსტიტუტში. შემდეგ ქეთევანი ისევ თბილისშია სამედიცინო ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის კათედრაზე ასისტენტად. ახლა იგი მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ.



* * *

რა იქნებოდა ადამიანის ცხოვრება, განსაკუთრებით კი ბუნებისმეტყველი მკვლევარისა, რომ ბუნებას ყველაფერი მზამზარეული მოეცა; ამით მისთვის მოისპობოდა კვლევითი მუშაობის მთელი ინტერესი, დასახული მიზნები, ბრძოლის უნარი და გამარჯვებით გამოწვეული ბედნიერების განცდები. რამდენი სიხარულია, როცა შენი ჰიპოთეზა მართლდება, ვერავინ შეგედავება სიმართლეში, რადგან ყველაფერს ცდებით დაადასტურებ.

მკვლევარის პრაქტიკაში ხდება ასეც: ეძებ ერთს და მასთან ერთად ღებულობ სხვასაც. ეს კიდევ ახალი სიხარულია. ასე მოუვიდა ქეთევანსაც. ეძებდა პერიპლოცინს და მასთან ერთად იპოვა ახალი არომატული ნივთიერებაც, რომელიც შემდეგში მიიღო თავისუფალი სახით, შეისწავლა მისი თვისებები, მოგვცა სტრუქტურული ფორმულა და მიუთითა კიდეც საპარფიუმერიო საქმეში მის გამოყენებაზე.

ძნელია სამკურნალო მცენარეების მკვლევარი ერთ წერტილზე გაიყინოს, მითუმეტეს, თუ უყვარს თავისი საქმე. წლების მანძილზე ქეთევანი შეუსვენებლივ მუშაობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა პრობლემაზე. ერთხანს თრიმლისა და თუთუბოს ფოთლებისაგან ტანინის მიღებაზე მუშაობდა და წარმატებითაც გადაჭრა ეს საკითხი. ომის პერიოდში, როდესაც ჩვენი რესპუბლიკა საკმარისად ვერ მარაგდებოდა სანარკოზო ეთერით, თეთრი სტრეპტოციდით და სხვა უაღრესად საჭირო სამედიცინო პრეპარატებით, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტმა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მოაგვარა მათი სინთეზი. ამ საქმეში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქეთევანს.

ყველაზე მეტი შრომა კი ქეთევანმა მაინც ჩაის კულტურის შესწავლას მოახმარა. ამ ოციოდე წლის წინათ მან დიდი სიხარულით მიიღო მონაწილეობა იმ მუშაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა ახლადდაარსებულ ბათუმის კოფეინის ქარხნისათვის კოფეინის მიღების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას.

* * *

მკვლევარის დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია მთრიმლავი ნივთიერება, რომელიც კოფეინის მიღების შემდეგ უდიდესი რაოდენობით მიყვებოდა გადამუშავების ნარჩენებს. გამოკვლევის შემდეგ დადასტურდა, რომ ჩაის ფოთოლში არსებული მთრიმლავი ნივთიერება ისეთივე თვისებებს ამჟღავნებდა, როგორც სამედიცინო ტანინი. ეს უკანასკნელი კი დეფიციტური პრეპარატია, რომელსაც უამრავი დანიშნულება აქვს. იგი მედიცინაში გამოყენებულია, აგრეთვე, შემკვრელ საშუალებადაც ცილასთან შეერთების შემდეგ და ჰქვია ტანალბინი. ქეთევანმა კოფეინის წარმოების ნარჩენებისაგან გამოჰყო მთრიმლავი ნივთიერება — ჩაის ტანინი და შეუერთა ცილას. მიიღო ისეთივე სამკურნალო თვისებების პრეპარატი, როგორიც ტანალბინია, ოღონდ გაცილებით იაფი, რომელმაც დიდძალი სამედიცინო ტანინი დაზოგა. ქეთევანმა მას თეალბინი უწოდა.

1961 წელი.

კვლავ თბილისის ფარმაკოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორია. ირგვლივ ქიმიური ხელსაწყოები. ისევ თეთრხალათიანი ქალიშვილი. თითქოს ყველაფერი ისეა, როგორც ამ ოცდაათი წლის წინათ. ქალიშვილი თითებით ფრთხილად ასწორებს იონიტებიან აპარატს.

პრობლემა გადაწყვეტილია! ლაბორატორიულად დამუშავებულია კოფეინის მიღების ახალი მეთოდი მაღალმოლეკულური ორგანული ნაერთების — იონიტების გამოყენებით. ეს მეთოდი ძლიერ ამარტივებს ტექნოლოგიურ პროცესს და თითქმის მინიმუმამდე დაჰყავს დანაკარგი.

სახეგაბრწყინებული ქალიშვილი მადლიერი თვალებით შეჰყურებს მისი სადისერტაციო შრომის ხელმძღვანელს, სამოცამდე შრომის ავტორს ქეთევან მუჯირს. ისიც კმაყოფილების ღიმილით, თვალებითვე პასუხობს: „მოწყალებას არ უნდა ველოდეთ ბუნებისაგან!...“

**მანანა ლეჟავა**



# იორამის მეუღლე

ნოველა

ნახატი ლია სვანიძისა

...ახლაც ქუჩაშია იორამი.

(ჩვევა რჯულზე უმტკიცესიაო,—უთქვამთ ძველად).

მეუღლე კი დიასახლისობს...

ალიონს აასწრებს, მიძინებულ ოჯახს შეაღვიძებს, ცხელ საუზმეს გაუწყობს იორამს და...

გაისტუმრებს.

მთელ დღეს დიასახლისობს ცოლი...

„მოღვაწეობს“ ქმარი...

იორამი უფროსია გარეთაც და შინაც....

ნაშუადღევს მშვენიერი იმერული სადილი,

მცირე ხანს კბილების ჩიჩქნა,

შევერცხლილი თმის შესწორება,

გაბოლება,

და ქუჩაში გასეირნება...

უცოლოდ...

ჰოდა, ახლაც ქუჩაშია იორამი...

„ქანდაკება“! — ეს იმას ნიშნავს, რომ ქალს ვენერა მილოსელის ტანი აქვს.

„ანგელოსი“! — ეს იმას ნიშნავს, რომ ქალს ნინო ჭავჭავაძის სახე აქვს.

„იორამი“! — ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორი სიტყვის წარმოთქმისას ულვაშებში ეღიმება, სახე ებადრება, ლოცავს იმ მიწას, რომელმაც „ანგელოზების“ და „ქანდაკებების“ უხვი მოსავალი იცის.

„გაუმარჯოს იმ ცას, რომლის ქვეშ ჩვენა ვართ, ვცოცხლობთ, ვცხოვრობთ და ხელთ საიმედოდ გვიჭირავს ჩაის ჭიქები“.

ასე იწყება იორამის სადღეგრძელოები. მერე, „ქანდაკებების“ ხოტბა-ქება.

მერე, რესტორანში: „ცირა, ჩემო ცირა, შენთვის მაკოცნინა“...

დიასახლისი კი დიასახლისობს:

მშვენიერი იმერული სადილი.

მცირე ხანს კბილების ჩიჩქნა და...

„მოულოდნელი“ „კრება“, „თათბირი“, ქუჩაში...

ახლაც ქუჩაშია იორამი, მაგრამ არავინ იცის — რისთვის.

იორამმა იცის მხოლოდ.

მოგოგმანობენ, მოდიან, მოიჩქარიან ლიანები, მანანები, ქეთევანები, თინათინები — „ანგელოზები“, „ქანდაკებები“.

ონავრობს იორამის ორივე თვალი.

შორს, შორს იხედება, მაგრამ...

თვალი ველარ წვდება წეროებივით გაფრენილ წლებს.

გული მაინც გულობს იორამის მკერდში...

დიასახლისი კი დიასახლისობს:

იცვითება ახალახალი ცოცხი...

ყოველდღე გავარვარებულია დიასახლისის უთო...

სულმოუთქმელად ჩიკჩიკებს საკერავი მანქანა...

და ამ დროს...

კვლავ ქუჩაშია იორამი...

— ოჯახში მიგიწვევდი, ჩემო ვარლამ, მაგრამ კნეინა არ მეგულება შინ, — ხმადაბლა ბოდიშობს იორამი.

— ალბათ, სააგარაკო საგზური მიართვი მეუღლეს, იორამ.

— ჰმ, აგარაკი სახლში აქვს მართას... აგარაკი მე უფრო მჭირდება, გადამქანცა შრომამ... ის კი არა, ახალი პალტო მოისურვა ქალბატონმა და მკერავთანაა დაბარებული.

— მაგას რა სჯობია, იორამ. პალტო ჩემს მეუღლესაც აქვს შესაკერი, მაგრამ კარგი ნაჭერი მინდა ვუშოვნო. ზამთარი კარზეა, ახალ პალტოებს იკერავენ ქალები, ატელიებთან რიგი იზრდება. რა ფერისაა მართას პალტო, იორამ, რუსუდანსაც ვურჩევდი...

— ფერი?.. ფერი არც კი ვიცი... ისე კი... ისე ძვირფასი უნდა იყოს... ფერს დღეს გავიგებ, საღამოს.

— რომელ მაღაზიაში იყიდა, ჰკითხე მართას, იორამ...

— სახვალიოდ გავიგებ, ვარლამ... ჰო, მართლა, ბესარიონი ვნახე დღეს და ქეიფში გვპატიჟობს, მგონი...

— როგორ თუ მგონი? დაგპატიჟა თუ არა?..

— რა ვიცი, შევატყე, რომ ქეც უნდოდა თქმა და ვერც გაბედა... ვიცი კი, რომ ქეიფს აწყობს შაბათისათვის, მარა...

— რა, მარა?

— რა და, მას ჰგონია, მე არ ვიცი, რომ ემზადებოდა... გოჭები ნაყიდი ჰყოლია, ინდაურებიც... ღვინო ქე აქვს, შინაური ღვინო და... სხვა რაღა უნდა?

— ჰო, ღვინო კარგი აქვს ბესარიონს, თითებს ჩაატანს მსმელი. გუშინ დამპატიჟა, მარა, შეიძლება, ვერც კი წავიდე.

— ა? დაგპატიჟა და ვერ წავიდეო?.. რა შეგიშლის ხელს, ვარლამ? შორსაა თუ?

— შორს არაა, მარა ჩემს რუსუდანს პალტო არა აქვს ახალი და, შარშანდელი კი მოდაში აღარაა. რას გეუბნებოდი წეღან... გადაშენდა მაგათი მოდა და მისი მომგონიც...

— ჰე, შე კაცო! არაა მოდაში, ხომ? ახალმოდისა კი ჯერ არ შეუკერია, ხომ? მაგას რა სჯობია, ვარლამ, მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო! უკეთეს მიზეზს, სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვნი. შენც, ჩემო კარგო, ადექი და წადი უცოლოდ. მაგისთვის რავა აცდენ ამოდენა კამპანიას.

— ლამაზი არ იქნება, იორამ, უცოლოდ წაკინკილება.

— უიმე! გადამრევს ეს კაცი, ნამდვილად! იქ რომ გამოქანდაკებული ანგელოზები ტანს შეარხევენ და ცეცხლივით მზერას გესვრიან... მეუღლე ფარად გინდა თუ?.. დაგჭრან, დაგკოდონ, შე კაცო, რა გენაღვლება... ცოლი, ქე იცი, საფრთხობელად ეჩვენებათ ასეთ დროს...

ვარლამმა სიცილი ველარ შეიკავა, მეგობარს მხარზე ხელი მოუთათუნა „კარგად გნახეო“ დაუტოვა მოსაუბრეს და წავიდა.

თავისი „ენაბასრობით“ კმაყოფილი იორამიც დინჯად გაუყვა გზას...

მოგოგმანებენ, მოდიან, მოიჩქარიან ლიანები, მანანები, ქეთევანები, თინათინები, — „ანგელოზები“, „ქანდაკებები“...

ულრუბლო საღამოს გარეთ გამოუდენია იორამის „ანგელოზები“...

ეშმაკურად ხტის იორამის თვალი ერთიდან მეორეზე, მეორედან მესამეზე, მესამიდან მეათეზე, მეასეზე და...

ილლება თვალიც...

იორამი შინისკენ მიდის...

მიდის და ფიქრობს:

„მოდი, არ შევხედავ არავის,“ —გადაწყვიტა და თავი სასწორზე დადო, თვალი მიწას დააბჯინა...

მიდის...

ასე გაინაპირა ცენტრიდან...

შეთხელდა „ქანდაკებების“ ქარავანი...

მიდის და ფიქრობს:

„არა, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა დავიბრმავო თვალი? ვინ დამსჯის ისე, რომ ბუნების ამ მშვენიერებას, სილამაზის გვირგვინს — ქალს, თვალი ამარიდებინოს?“...

და თავი ასწია...

დასწყევლოს ეშმაკმა... კვლავ „ქანდაკება“ მიუძღვის წინ.

სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯით უსწრებს, ირემივით მოუღერებია ყელი და მიდის...

ერთგან პატარა გუბეს შეუარა გვერდი და ქალი ამ დროს ისე მოხდენილად გადაიხარა წელში, რომ...

იორამი გაშეშდა,

ლოყაზე ხელი შემოიდო და:

„საოცარია ბუნება, ღმერთმანი... რომელ კედელ-ყურეს არ დაამშვენებს ასეთი არსება?..“

და გულში დაასკვნა:

„სიბრმავე სასჯელის უმაღლესი ზომაა“.

მიდის...

ნაბიჯს უმატებს.

ქალი მიაბიჯებს...

იორამი თავის სახლს უახლოვდება, შინ უნდა შევიდეს და ქალის სახე კი ვერ უნდა დალანდოს...

ჩქარობს...

„ნეტავ, სახე თუ აქვს ტანის შესადარისი? რომ მოიხედავდეს? ვინ მოახედებს?..“

მიდის და ვერ ეწევა...

იორამს თვალწინ უტრიალებს გამალებული ნაბიჯები, სანთელივით ჩამოქნილი ფეხები...

და გაწყრა ღმერთი—

იორამმა ჩაახველა...

ჩაახველა და...

ქალმა მოიხედა...



ქალმა მოიხედა და...

კაცი გაქვავდა...

— შე კაცო, უკან თუ მომყვებოდი, ვერ დამიძახე? — საყვედურობს მანდილოსანი.

იორამი ოფლში იწურება... ჯიბეებს იქექავს, ცხვირსახოცს იღებს და გულმოდგინედ იწმენდს ოფლს...

მერე ძლივს ამოღერღა:

— მართლა შენ, ხომ... ჰო, რა მშვენიერი პალტო გამოსულა...

— მოგწონს, იორამ?.. რა მოგივიდა, კაცო, ნელა ვერ წამოხვედი, ოფლად რომ გაღვრილხარ?

— კი... როგორ არა... — ვითომ სათქმელს ალაგებს ქმარი, — ჰო, მართა... მე... იცი რა? დღეიდან ერთი სიტყვით, როგორც გინდა ისე იფიქრე, არასოდეს არ... რა კარგი ფერისაა ეგ პალტო...

და სველი ცხვირსახოცი ერთი ხელიდან მეორეში გადააქვს იორამს, ცოლს ღიმილი არ შორდება სახიდან...

ჭიშკარი ორივემ ერთად შეაღო და...

აივანი იორამის „ანგელოზმა“ დაამშვენა...

**სანდრო მეტრეველი,**

ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფინეთში

## სიჭაბუკის თანასწორი

„მშვიდობისათვის, მეგობრობისათვის“ — ამ ლოზუნგით ჩატარდება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VIII მსოფლიო ფესტივალი ფინეთის დედაქალაქში, ჰელსინკში, 27 ივლისიდან 5 აგვისტომდე.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ჭაბუკები და ქალიშვილები ალჟირიდან, ეკვადორიდან, არგენტინიდან, საფრანგეთიდან, კუბიდან, ჩინეთიდან, მაროკოდან, ინდონეზიიდან, პერუდან, ტუნისიდან, პორტო-რიკოდან, იუგოსლავიიდან, ვენესუელიდან, სსრ კავშირიდან, აფრიკიდან და ბევრი სხვა ქვეყნიდან.

ფესტივალზე ყველა მონაწილეს საშუალება ექნება იპოვოს ის, რისკენაც გული მიუწევს, მოისმინოს პასუხები მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე. ჩაებას დისკუსიაში მშვიდობის, კოლონიური და სუსტად განვითარებული ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნებით, ნახოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდების მიღწევები მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების დარგებში; აჩვენოს საკუთარი შესაძლებლობანი, საკუთარი მიღწევები.

ჰელსინკის ახალგაზრდობისა და სტუდენტობის VIII მსოფლიო ფესტივალი იქნება თანამედროვე ახალგაზრდა თაობის ძალის, ნიჭის, ცოდნის ჭეშმარიტი დემონსტრაცია, იმის დადასტურება, რომ ახალგაზრდობა მზად არის ააშენოს სამყარო ომისა და ჩაგვრის გარეშე.

**გიამბობთ ფინეთის შესახებ**

## ათასი ტბის ქვეყანა

### ლახტი

პირველად ეილა შეგვეგება ფინეთში, პირველად ენა მან გაგვატეხია — გვასწავლა „პაივა“ — მისალმება ფინურ ენაზე, მერე ხელბარგი ჩამოგვართვა და წინ გაგვიძღვა. საშუალოზე ოდნავ მაღალი, ღია ოქროსფერი თმით, კოხტა ტან-ფეხით და ცისფერი თვალებით — ასეთი იყო ჩვენი მეგზური სპორტული შეჯიბრებებით ცნობილ მეთხილამურეთა ქალაქში, ლახტში.

აი, რა გვიამბო ეილამ ქალაქის ისტორიიდან:

— წინათ ამ ქალაქის ადგილას სოფელი იყო, სადაც ცხოვრობდნენ ადამიანები და უყვარდათ ერთმანეთი. შეუყვარდა ერთ მეჯინიბეს ლამაზი გოგო და როცა ალერსით იყვნენ გართული, სიგარა დაუვარდა თურმე ვაჟს. ცეცხლი თივის ერთ პატარა ღეროს წაეკიდა, მერე მეორეს, მესამეს... იმძლავრა, ზვინი ააბრიალა და შეყვარებულებიც მაშინ გამოერკვნენ. ასე დაიწყო ხანძარი, რომელიც მთელ სოფელს მოედო და რომელმაც გასცა ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარული. ეს საჯინიბო ახლანდელი ბაზრის ადგილას იყო და ცეცხლიც აქედან გადაედო ხის სახლებს.

ახლა ის სოფელი არავის ახსოვს ლახტში. იგი ძალიან ჩქარა გაიზარდა. 1918 წელს თუ აქ 6 ათასი მცხოვრები იყო, ახლა ლახტში 65 ათასი მკვიდრია. ეს არის ძალზე თანამედროვე არქიტექტურული სტილით აშენებული ქალაქი, რომელიც თავის ძველ სურათს აცოცხლებს მხოლოდ ღარიბთა უბანში მიმოფანტული პატარა ხის სახლებით.

ეილა გვეუბნება, რომ ძველი ლახტიდან ახლა მხოლოდ ეს ადგილი დარჩა უცვლელი, მალე ამასაც აიღებენ და მას შეეძლება ტურისტები მხოლოდ ასეთი მოგონებებით გააცინოს:



— წინათ, ამ პატარა სოფლის ამ პატარა უბანში ყველა სახლი ერთი ფერის იყო. როცა ღამით ქმრები შინ ბრუნდებოდნენ, ეშლებოდათ სახლი და უნებურად სხვის ცოლებთან აღმოჩნდებოდნენ. მერე „დაზარალებული“ ქმრები „ამხედრებულან“ და სხვადასხვაფრად გადაუღებიათ სახლები.

ლახტის წარსულიდან ბევრის გახსენება შეიძლება, თუნდაც იმის, რომ 1918 წელს, მშვენიერი პარკის ადგილას წითელარმიელთა საკონცენტრაციო ბანაკი იყო. აქ რუსი არმიელები მარილიანი თევზით გამოკვებეს და შემდეგ უწყლოთ დახოცეს. აქ ხუთი ათასი რევოლუციურად განწყობილი მუშა დახვრიტეს.

საინტერესოა, რომ ლახტი შედარებით პატარაა და ბევრ სხვადასხვაგვარ სახელს ატარებს. მეთხილამურეთა ქალაქს გარდა მას უწოდებენ დურგლების ქალაქს. ეს იმიტომ, რომ მრეწველობის მთავარ დარგად ავეჯის წარმოება ითვლება. აქ არის ჩრდილოეთის ქვეყნებში ყველაზე მსხვილი ავეჯის ფაბრიკა „ასკოს“ სახელწოდებით, არის ტრიკოტაჟის ფაბრიკა და საკონსერვო ქარხანა. ისინი ეკუთვნიან სააქციო საზოგადოებებს, უმეტესად კი კერძო პირებს.

აღსანიშნავია სახელოსნო სასწავლებლების უზარმაზარი კომპლექსი თანამედროვე მოწყობილობით, სახელოსნოებით, აუზებით.

ლახტს აქვს კეთილმოწყობილი საავადმყოფოები, სადაც ერთი დღით მკურნალობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



600 მარკა ღირს. თუ ექიმი ღამითაც რჩება, მკურნალობის ფასი დღეღამის განმავლობაში 2.500 მარკაა. ექიმი ძალიან ძვირად ფასობს ფინეთში.

ეილა ლახტში არ დაგვემშვიდობა და ტამპერეში მიმავლები ჰამეენლინამდე გაგვაცილა. გზად გავიარეთ ბუნებრივი პარკი „აულანკო“, რომელიც ცნობილია თავისი კეთილმოწყობილი სასტუმროთი და სპორტული მოედნებით.

ავტობუსმა ჰამეენლინას ქუჩები გადასერა და ეილამ მოკლედ გვიამბო ქალაქის კულტურულ ტრადიციებზე. აქ დაიბადა ცნობილი კომპოზიტორი სიბელიუსი, ამ ქალაქში სწავლობდა პრეზიდენტი პაასიკივი. ფინეთის ლიტერატურის ფუძემდებელი ალექსის კი ვი თავის ნაწარმოებში ამ ქალაქის მკვიდრთ იხსენიებს კარჩაკეტილ და თავდაჯერილ ადამიანებად.

**ტამპერე**

— ქალიშვილების ქალაქში შევდივართ, — გაგვაფრთხილეს და გავიკვირვეთ:

— რატომ ქალიშვილების?

— ასე უწოდებენ ტამპერეს, რადგანაც აქ ქალიშვილები ბევრად ჭარბობენ ვაჟებს.

ჩასვლისთანავე გამოგვეცხადა ლამაზი ქალიშვილი, სახელად სინიკა.

მან ახალი სასტუმროს კარი გაგვიღო და გვითხრა:

— თქვენ ხართ პირველი მაცხოვრებლები, ჯერ აქ ღამე არავის გაუთევია.

— გვაჩვენეთ თქვენი ქალაქი, სინიკა, ქალიშვილების ქალაქი!

სინიკა იღიმება და გვიხსნის:

— ერთხელ ერთმა ავსტრიელმა ჟურნალისტმა ძალიან მოსწრებულად თქვა, რომ ტამპერე არის ფინეთის მრეწველობის პარკი. 130.000-მცხოვრებიანი ტამპერე დღეს მეორე ადგილზეა ჰელსინკის შემდეგ. თქვენ არ მოგატყუოთ ორ ტბას შორის სიმწვანეში ჩაფლულმა ქალაქმა, მისმა უთვალავმა პარკებმა და ყვავილნარებმა. უპირველესად ტამპერე სამრეწველო ცენტრია. სილამაზით და სისუფთავით კი იშვიათად თუ შეედრება რომელიმე ქალაქი.

ტამპერე 1779 წელს დაარსდა. პირველად სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა. ახლა მრეწველობის დარგებიდან წამყვანია მანქანათმშენებლობა, საფეიქრო მრეწველობა და ფეხსაცმლის წარმოება. ტამპერეში დაარსდა ბავშვთა პირველი საავტომობილო მოედანი, სადაც ბავშვები მანქანის მართვას სწავლობენ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ევროპის ქალაქებიდან პირველად ტამპერეში შემოიღეს ქუჩების ელექტროგანათება. ტამპერეში (ყოფილ ტამერფორსში) არის ლენინის მუზეუმი, სადაც ჩატარდა რსდმპ (ბ) ტამერფორსის კონფერენცია.

სინიკამ დაგვათვალიერებინა უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ამზადებს რედაქციის მუშაკებს. ვნახეთ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, სახლები მოხუცებულთათვის. მაგრამ ყველგან — სასწავლებლებში, სკოლებში, საავადმყოფოებში, მოხუცთა სახლებში, საბავშვო ბაგებში, საცხოვრებლებში — დაწესებულია მაღალი გადასახადი.

ამიტომ იდგა ქალაქის შესასვლელში ძველი ხის სახლები. ისინი დიდიხანია აშენდა და ახლაც იქ არის. ღარიბები ვერ გადადიან საცხოვრებლად ქალაქში, სადაც ერთი კვადრატული მეტრი ბინის ფართობი (სათავსოების ჩათვლით) 1.000 მარკამდე ღირს.



ჩვენ წინასწარ გაგვაფრთხილეს, თუ გსურთ აწყენინოთ ფინელებს, უარი თქვით მათ აბანოზეო. აღსანიშნავია, რომ ფინელები ამაყობენ თავიანთი აბანოთი. მრავალსართულიან სახლებს, როგორც წესი, აქვთ აბანო სარდაფში, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბინას აქვს საბაზანო ოთახი. ფინური აბანო ეს სულ სხვა რამ არის. აქ იღებენ ცხელ ორთქლს, შემდეგ გადადიან ცივ აუზში და იკაჟებენ ორგანიზმს.

და აი, ჩვენი მასპინძელი სინიკა თავისთან გვეპატიჟება სახლში, სურს გვაჩვენოს ფინური აბანო. უარს ვერ ვეუბნებით და მივყვებით. ღამეა. ტამპერე აჭრელებულია რეკლამებით. გავდივართ ჩვენთვის უცნობი გზით. ეტყობა შევდივართ სოფელში. ქალაქში ძვირია ცხოვრება. სინიკა ცხოვრობს ქალაქგარეთ, სკოლის ეზოში. მამამისი სკოლის დარაჯია. მამამ რომ დარაჯად მუშაობა ვერ შეძლოს, ბინას დაკარგავენ. სინიკას პატარა ბინაში ყველაფერი იცინის. მასპინძლებიც იცინიან და გამოაქვთ სასმელები, ყავა..

— გაინტერესებთ სად ააშენეს ყინულმჭრელი „მოსკოვი“, ანდა „კაპიტანი ვორონინი“, „კაპიტანი ბელოუსოვი“, „კაპიტანი მელეხოვი“? ჩადით ტურკუში, უდიდეს გემთმშენებელ ქალაქში და დაათვალიერეთ მისი ნავსაშენები. ტურკუს პორტი მთელი წელიწადი ღიაა. გემების მშენებლობაზე მუშაობს ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა. ისინი საბჭოთა კავშირის დაკვეთების წყალობით ცხოვრობენ, — გვითხრა სინიკამ სადგურზე და ხელი დაგვიქნია.

მატარებლიდან ჩანს თვალუწვდენი წიწვიანი ტყე, ტბები. სწორად უთქვამთ ფინეთზე, ათასი ტბის ქვეყანაო.

**ტურკუ**

და აი, ჩვენს თვალწინ წამოიმართა ტურკუ, თავისი ცნობილი ნავსაშენებით. სინიკას თქმისა არ იყოს, ქალაქის გაცნობა მისი პორტით დავიწყეთ.

ტურკუ უძველესი ქალაქია, 125.000 მცხოვრებით. შვედების ბატონობის დროს იგი ითვლებოდა ფინეთის დედაქალაქად. ქალაქში ბევრი რამ არის ძველი. ქალაქის

ცენტრში მთავარი ადგილი კაფედრალურ ტაძარს უჭირავს, რომელიც 1229 წელს აშენდა. მაღლა, მთაზე შემორჩენილია ძველი ხის ქალაქი — XVIII საუკუნის ნაშთი.

ყველაზე მეტად კი ტურკუ ცნობილია როგორც „ფინეთის კულტურის აკვანი". 1640 წელს აქ დაარსდა ფინეთის პირველი უნივერსიტეტი, რომელიც 1828 წელს გადაიტანეს ჰელსინკში. მშენებლობის სწრაფად განვითარებამ შეცვალა ქალაქის სახე. ტურკუს უნივერსიტეტის ახალ შენობათა კომპლექსი, რომელიც ეკუთვნის არქიტექტორ არნე ერვის, საზღვარგარეთელ სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევს თავისი გამოკვეთილი ხაზებითა და ფართო, ნათელი დარბაზებით. ამას გარდა, ტურკუში მუშაობს შვედური უნივერსიტეტი და ფინური კომერციული ინსტიტუტი.




ჰელსინკი

ჩვენი მარშრუტი ჰელსინკში დამთავრდა, იქ სამი დღე დავყავით. ჰელსინკი 1550 წელს დაარსდა. დიდხანს ის უმნიშვნელო პატარა ქალაქი იყო.

1812 წელს ჰელსინკი დედაქალაქად იქცა. ტურკუდან უნივერსიტეტის გადმოტანამ უფრო გაზარდა იგი. დღეს ჰელსინკის მოსახლეობა ნახევარ მილიონს შეადგენს.

ლამაზი სახლებით დამშვენებული თანამედროვე ჰელსინკი გამოირჩევა ფორმისა და არქიტექტურული მიმართულების მრავალსახეობით. ამჟამად შენდება ცალკე მდგომი 8-11-სართულიანი სახლები რამდენიმე ან ერთი სადარბაზოთი. უკანასკნელ წლებში გაფართოვდა, ინდივიდუალური სახლების და ქალაქ-თანამგზავრების მშენებლობა. ეს ქალაქი-თანამგზავრები ჰელსინკის გარეუბნებშია. ისინი გამოირჩევიან თანამედროვე არქიტექტურითა და დაგეგმვით. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქალაქი-ბაღი ტაპიოლა, სადაც არქიტექტორთა ჩანაფიქრი — გამოიყენონ ბუნებრივი მდებარეობა — განსაკუთრებით ნათლადაა გამოხატული. ტაპიოლას ახლოს მდებარეობს მეორე ქალაქი-თანამგზავრი—სტუდენტთა დასახლება — ოტანიემი.

ოლიმპიური სტადიონის მაღალი კოშკიდან იშლება სამი მხრიდან ზღვით შემორტყმული ქალაქის ცენტრალური ნაწილის ლამაზი ხედი.

ქალაქის ღირსშესანიშნაობებს ეკუთვნის სენატის მოედანი, სადაც მდებარეობს ჰელსინკის უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სლავიანური განყოფილება უდიდესია საზღვარგარეთის რუსულ წიგნსაცავთა შორის.

სადგურის ახლოსაა ხატვისა და ძერწვის მუზეუმი „ატენეუმი", სადაც გამოფენილია როგორც ფინელ, ასევე უცხოელ ხელოვანთა ნამუშევრები.

სეიმის მასიური შენობა აგებულია ფინური გრანიტით და სტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ის აღმართულია მეზობლად მდებარე გრანიტოვანი კლდეებისაგან.

ჰელსინკშია ევროპაში უდიდესი კერამიკული ფაბრიკა — „არაბია". დედაქალაქს აქვს მანქანათმშენებლობის, გემთმშენებლობის და კაბელის მრეწველობის საწარმოები. ჰელსინკი ითვლება მნიშვნელოვან პორტადაც.

ბევრი ძეგლი რაც ფინეთშია, მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის რაც დღესაც შემორჩენიათ ქალაქებს.

საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს არაერთხელ შეუფარებია თავი ფინეთისათვის მეფის მთავრობის მიერ დევნის პერიოდში. მაქსიმ გორკის მიერ დევნის პერიოდში. ილია რეპინი სხვები ხანგრძლივად ცხოვრობდნენ ფინეთში, კარგად იცნობდნენ მას, აღფრთოვანებული იყვნენ მისი ბუნებით და შრომისმოყვარე ადამიანებით.

ეს შრომისმოყვარე ხალხი ახლაც არის ფინეთში. მათ შევხვდით ფაბრიკებში, ქარხნებში, გემთმშენებლობებზე, მეგობრულ საღამოებზე ოჯახებში. ჩვენი იქ ყოფნისას ისინი ეცნობოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს. „თუ დედამიწაზე იქნება მშვიდობა, მაშინ საბჭოთა კავშირი აუცილებლად განახორციელებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პროგრამას" — წერდა ერთერთი მუშა ფინეთის კომუნისტური პარტიის ორგანოში — გაზეთ „კანსან უუტისეტში". იგივე გაზეთი აღნიშნავდა, რომ განსაკუთრებით საშიშია ფინეთის მემარჯვენე წრეების წარმომადგენელთა მისწრაფება გააჩაღონ ომის ფსიქოზი და გამოიყენონ ცილისმწამებლური გამოხდომები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხში.

ფინელებს ჰყავთ ცნობილი სკულპტორი ვიაინე აალტონენი. ფინელები ამაყობენ მისი ქანდაკებებით. მშვიდობის ქანდაკება ერთი დგას მთელს ფინეთში და მისი ავტორია აალტონენი. ქალაქ ლახტის მშრომელები ხშირად მიდიან ამ ქანდაკებასთან და უყურებენ მაღლა ხელაპყრობილ ქალს. მარცხენა ხელი გამოხატავს: არასოდეს არ იყოს ომი! მარჯვენა — ხალხს ჰქონდეს კარგი ცხოვრება.

ეს ფინეთის ყველა მშრომელის ოცნებაა.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მისი ცხოვრების გზა

გზა ავტობუსის ბორბლებს ქვეშ იკეცება. უკან რჩება თბილისი, გაშლილი მთები და ველები. მერე მთები თანდათან იზრდება, უღელტეხილს უთანაბრდება და თოვლიანი ხდება, ზაფხულშიც თოვლიანი, თეთრი ღრუბლებით მოფენილი, ალაგ-ალაგ მწვანე ხავერდივით აბიბინებულ ფერდობებს პირბადედ რომ ჩამოშლია...

კისლოვოდსკისკენ მიმავალი მანქანა ჯვრის უღელტეხილზე გადადის. მეორე რიგში, სარკმელს მიყრდნობილი მგზავრი დიად ბუნებას თავის სულში მოუქცევია. პირველად მოგზაურობს საქართველოს სამხედრო გზით და აღტაცებას ვერ ფარავს. ისედაც მადლიერების გრძნობით აღგზნებულს, მთამ თავისებური ძალა და სითბო შემოაფრქვია, ნაავადმყოფარს ჭარბი სიცოცხლე შემოსთავაზა... ამ მთების შვილმა, ელენე ჩქარიულმა აცოცხლა იგი...

...სრულიად ჯანმრთელი უცებ მძიმე ავადმყოფი შეიქმნა. ტანი დაუმძიმდა, გული სევდიანი გაუხდა. გონება სიკვდილზე ფიქრმა მოიცვა. გორიდან თბილისში ჩამოიყვანეს, რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს. ავადმყოფობის დადგენა ერთხანს აქაც გაჭირდა. ბოლოს იმედი რომ დაკარგა და სიკვდილს შეურიგდა, რენტგენის ბნელ ოთახში ამჯერად ქალის მტკიცე ხმა ჩაესმა:

ისუნთქეთ ღრმად... კიდევ... კიდევ... — და უცებ გამარჯვებული ტონით — როდის ჭამეთ შავი ხურმა...

ერთხელ კიდევ, ყველა მოწმე გახდა რენტგენოლოგი ქალის — ელენე ჩქარიულის ახალი გამარჯვებისა. ავადმყოფს მართლა უყვარდა გამხმარი ხურმა. ხშირად ჭამდა. ხურმის ნაწილები ერთმანეთს ეწებებოდა და კუჭში გროვდებოდა თურმე. ბურთივით შეკრული მასა გაშუქების დროს შავად მოჩანდა. ამიტომ ყველას კიბო ეგონა. ელენე ჩქარიულმა სწორი დიაგნოზი დასვა — ფიტობეზოარი. ავადმყოფს ოპერაცია გაუკეთეს, გამოჯანმრთელებულს მჟავე წყლებზე წასვლა ურჩიეს...

ახლა იქ მიდიოდა როსტომ შახნაზაროვი. ყაზბეგში მანქანიდან გადმოვიდა. ელენე ჩქარიულის სახლი იკითხა. თერგისპირას, მთაზე შეფენილი სოფელი დაანახვეს.

• • •

მას შემდეგ, რაც მთაში ახალი ხანა დამკვიდრდა, ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობს სოფელი გორისციხე. საღამოობით, როცა ცა ვარსკვლავებით მოიჭედება და ხალხი საქმეს მოიშორებს, ქვებზე ჩამომსხდარი მოხუცები სოფლის ჭირ-ვარამს მოჰყვებიან. ძველ დროს გაიხსენებენ, ივანე ჩქარიულსაც მოიგონებენ. ჭკუას და ვაჟკაცობას შეუქებენ.

ჭირდაო მაშინ მთაში ცხოვრება. უმიწაწყლო მთა მხოლოდ ცხვარს შეჰყურებდა მხსნელად. ბევრი ცხვრის პატრონები თითქმის არაფერს აძლევდნენ ბავშვობიდანვე ცხვარში მყოფ მწყემსებს. ამიტომ ტოვებდა ახალგაზრდობა თავის მიწა-წყალს. სხვაგან იწყებდნენ სამუშაოს ძებნას. ივანე ჩქარიულიც ასე მოიქცა. თბილისში დასახლდა. ცხოვრებაში უსწავლელობით გაწამებულმა, შვილების ბედზე ადრე იფიქრა. და მთიელმა კაცმა სწავლის საკითხში ქალიშვილები ვაჟებისაგან არ გამოარჩია. ელენე ჩქარიული პირველი მოხევე ექიმი ქალია, რომელმაც ასე გაითქვა სახელი რენტგენოლოგიაში.

• • •

შორს დარჩა ბედნიერი ბავშვობის წლები, მდინარებით მშობლიური მთების ჩანჩ-

# ბავშვებისათვის

## გამოიცან

სკუპი-სკუპი ნაცარა,
ხტუნვით გადაუღლელი,
ბოსტანში რომ ჩამჯდარა,
სთქვი რა ჰქვია?

. . . . .

ქათმის ხორცი თუ უყვარს,
აბა, რა სათქმელია,
არც თაგუნებს ახარებს,
სთქვი რა ჰქვია?

. . . . .

ასი ვერსი მინდორი
ასკინკილით გალია.
მტერი გახლავთ ყანების,
სთქვი რა ჰქვია?

. . . . .

თუ უჩივი თვალის ჩინს,
შენს დამხმარედ ჩათვალე.
მკურნალია თვალების,
სთქვი რა ჰქვია?

. . . . .

რვეულში რომ ყოველთვის
სუფთად გქონდეს ნაშრომი,
სველ სტრიქონებს აგიშრობს,
სთქვი რა ჰქვია?

. . . . .

ზარმაცი და უქნარა
ჩიტუნია უგნური,
სხვის ბუდეში ჩამჯდარა,
სთქვი რა ჰქვია?

* * *

ოჩოფეხა, აყლაყუდა,
ზურგზე ადევს ქონის გუდა.

საბრძოლველად შემართული
ბადეში ზის მებადური.

ჭერში მსხალი მინანქრისა
წყარო გახლავთ სინათლისა.

დიდთავა და ნაცრისფერა,
თვალები აქვს საცრის ხელა.

არც თვალი აქვს, არცა ენა,
რაც ვუჩვენე ის მიჩვენა.

კაკ··კუკ··კაკ··კუკ··
არ ვარ უტყვი,
რკინის თავი
რკინას ვურტყი.

მგზავრი იყო ერთი ციდა,
ციხე-კოშკი მხრებით ზიდა.

გ. ჭიჭინაძე

ქერს რომ გავდა, წლები, როცა არ იცოდა, რომ ქვეყანას, სადაც ის ცხოვრობდა, საქართველო ერქვა. ეს სიტყვა პირველ გიმნაზიასთან არსებულ საბავშვო ბაღის აღმზრდელმა — ნინო ნაკაშიძემ ასწავლა ბავშვებს. ყურადღებად გადაქცეული უსმენდა ხოლმე მწერალ-პედაგოგის მონათხრობ ამბებს. რამდენი რამე გაიგო მაშინ, რამდენი რამე დაამახსოვრდა.

შორს დარჩა სწავლის მჩქეფარე წლებიც; გიმნაზია და მასწავლებლები, ტექნიკუმი და მეგობრები.

პროფესიად სამედიცინო დარგი აირჩია ელენე ჩქარიულმა. სახელმწიფო უნივერსიტეტში მაშინ მხოლოდ სამკურნალო ფაკულტეტი იყო. სწრაფად გავიდა სტუდენტობის ხუთი წელი და დამთავრებისთანავე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტრომ ორდინატურაში მიიწვია ორი წლით. პირველ წელს ორდინატურას გადიოდა რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში პროფესორ ა. კვალიაშვილთან, მეორე წელს — რენტგენოლოგიის კათედრაზე პროფესორ გ. ნაზარიშვილთან.

და ერთხელ, როცა ჯერ კიდევ გამოუცდელი ორდინატორის წინ პირველი ადამიანი დადგა და მისგან თავისი ავადმყოფობის სწორი დიაგნოზი მოითხოვა, ელენე ჩქარიული დარწმუნდა, კარგი რენტგენოლოგი ცოცხალი ორგანიზმის სარკე იქნებოდა. გადაწყვიტა ამ გზას გაჰყოლოდა ბოლომდე. არჩეული პროფესია სიბნელეში ნათელ თვალთახედვასა და დიდ დაკვირვებას მოითხოვდა, მაგრამ მას არ აშინებდა სიძნელეები.

ახალგაზრდა რენტგენოლოგის ცოდნა და მონდომება მხედველობიდან არ გამორჩა პროფესორ ვლ. ჟღენტს. მან თხოვა ელენეს ჩაეტარებინა მუშაობა რენტგენოლოგიისა და პათოლოგიური ანატომიის საკითხებში, ერთმანეთისათვის დაეკავშირებინა ეს ორი დისციპლინა.

საკანდიდატო დისერტაცია შემდეგ ამ ასპექტში აირჩია ელენე ჩქარიულმა — „ბაჰიების რენტგენის სხივებით ტოტალური, დიდმანძილიდან დასხივების შედეგად რეთიკულო-ენოთელარული სისტემის მდგომარეობა“. დაასხივა 30 ბაჰია და როცა უკვე სადისერტაციო ნაშრომის მეტი ნაწილი თავმოყრილი ჰქონდა, ომი დაიწყო. ამ საკითხზე მუშაობა მან ვეღარ განაგრძო. ომის პირველი დღეებიდანვე ის თბილისის ხან ერთ ჰოსპიტალშია, ხან მეორეში.

ჰოსპიტლის უამრავმა მასალამ და საერთო მდგომარეობამ ელენე ჩქარიულს უკარნახა დაემუშავებინა ფრიად საინტერესო საკითხი, ომის დროსვე დაიწყო მუშაობა ახალ სადისერტაციო თემაზე: „ცვლილებები ძვლებში ცეცხლმსროლელი იარაღით მიყენებულ პერიფერიულ ნერვების დაზიანების დროს“. შეისწავლა 180 შემთხვევა, ზედა და ქვედა კიდურების იზოლირებული ნერვების დაზიანების დროს. ნაშრომი დამთავრებული ჰქონდა და მხოლოდ დაცვა იყო საჭირო, როცა მის ოჯახშიც ომის საშინელება ჩაერია — ძმა ფრონტზე დაეღუპა, ქმარს კონტუზია დაუტოვა.

დრო სულ სხვა მკურნალია... 1949 წლის 22 აპრილს ელენე ჩქარიულმა ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია მოსკოვში (ომის დროს დაწერილ თემაზე) და კათედრას რენტგენოლოგიის დოცენტად დაუბრუნდა.

წლების მანძილზე მუშაობდა და მუშაობს ელენე ჩქარიული მეტად აქტუალურ და საინტერესო საკითხებზე. ის 27 მეცნიერული შრომის ავტორია. ამ ნაშრომებს მალე შეემატება ახალი შრომა — „ბრონქოგრაფიის და ტომოგრაფიის მონაცემების შეფარდება ფილტვების დაავადებათა რენტგენო-დიაგნოსტიკაში“.

მედიცინაში არ წყდება ფიქრი ერთ მეტად მტკივნეულ საკითხზე. ეს არის კიბოს პრობლემა. ელენე ჩქარიულს თავისი მუშაობის დროს ხშირად უნახავს ჯერ კიდევ ფრჩხილის ოდენა კიბო კუჭში და ავადმყოფი განსაცდელისაგან გადაურჩენია. ბევრჯერ მოსულან მასთან შეშინებული ადამიანები და წასულან უზომოდ გახარებულნი.

პროფესორ ა. კვალიაშვილთან და ორდინატორ ლ. გულისაშვილთან ერთად ელენე ჩქარიული მუშაობს ნაშრომზე — „ახალგაზრდა ასაკის კუჭის კიბო“, სადაც ავტორები ასკვნიან, რომ ახალგაზრდა ასაკში კუჭის კიბო არც თუ ისე იშვიათია და განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებაა საჭირო, რათა ერთის მხრივ ავადმყოფის ახალგაზრდობამ არ შეგვიყვანოს შეცდომაში და მეორეს მხრივ გვახსოვდეს ამ დაავადების შენიღბული ფორმები, განსაკუთრებით ანემიით და მაღალი ტემპერატურით მიმდინარე შემთხვევებში...

1937 წლიდან ელენე ჩქარიული თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედაგოგია, კითხულობს ლექციებს რენტგენოლოგიასა და რადიოლოგიაში. ამ წლების მანძილზე ჩატარებული აქვს ათასობით პრაქტიკული სამუშაო. მის ლექციებს სტუდენტებს გარდა ექიმებიც ესწრებიან.

33 წელია ელენე ჩქარიული ჯანმრთელობისთვის მავნე რენტგენის სხივებს არ მოსცილებია, ენერგიული მუშაობა არასდროს შეუნელებია. ზოგჯერ უამრავი ავადმყოფი გაუშუქებია და იქიდან დისერტაციის დაცვაზე წასულა, ოპონენტად გამოსულა, მაგრამ დაღლა ერთხელაც არ დაუჩივლია. მისი ენერგიით გაკვირვებული კოლეგები იმასღა ამბობენ: გვარიც ასეთი აქვსო...

ელენე ჩქარიულის ოჯახში ყველა შეამჩნევს, რომ ერთადერთი შვილი, რესპუბლიკის კარდიო-რევმატოლოგიური დისპანსერის ექიმი-რევმატოლოგი გურამ ხმიადაშვილი და მისი ახალგაზრდა მეუღლე უაღრესად დიდ პატივს სცემენ დედას, რაც ასე სასიამოვნოა საერთოდ.

ელენე ჩქარიულმა ღირსეულად დაიმსახურა საზოგადოებისა და შვილების ესოდენ დიდი პატივისცემა და სიყვარული.

ირმა ჩოფიკაშვილი

ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეფემია მესხი



(დაბადების 100 წლისთავი)

8771

მიუხედავად ჩემი წელთა სიმრავლისა, არც მინახავს და არც გამიგონია, რომ ერთ ოჯახს ხალხის იმდენი მსახური, იმდენი მოღვაწე მიეცეს თავისი სამშობლოსათვის, რამდენიც სიმონ მესხის ოჯახმა მისცა: სერგი, კოტე, დავითი, ანა, ეფემია და ივანე.

სერგი — ცნობილი პუბლიცისტი, გამოჩენილი ჟურნალისტი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი და განახლებული ქართული თეატრის მოამაგე; კოტე — მსახიობი, რეჟისორი და ქუთაისის პროფესიონალური თეატრის ფუძემდებელი; დავითი — ჟურნალისტი და მსახიობი; ანა — საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი; ეფემია — მადლნიჭიერი და ცნობილი მსახიობი; ივანე — საზოგადო მოღვაწე, ქართული თეატრის მოამაგე.

მესხების ოჯახთან ჩემს მშობლებს ძალიან ახლო დამოკიდებულება ჰქონდათ. მახსოვს ჯერ კიდევ ბავშვი — შვიდი წლის გოგონა ვიყავი, როდესაც ეფემიამ წამიყვანა სოფელ რიონში თავის დისშვილთან — ნინო გამრეკელთან ერთად. ორივენი ერთი ხნისანი ვიყავით და ძალიან დავმეგობრდით. შემდეგში ნინო ქართულ თეატრში მოღვაწეობდა, როგორც თვალსაჩინო მსახიობი და პირველი ქართველი ქალი-რეჟისორი, იგი დიდი გემოვნების პატრონი იყო და ბევრი გამართული და შინაარსიანი პიესა ჰქონდა დადგმული.

აი იქ, თავის სამშობლო სოფელში ეფემიამ, ჩვენმა საყვარელმა ფეფიკომ, დაგვაწყებინა მე და ნინოს ანბანის სწავლება. სანამ ვაზროვნებ, რა დამავიწყებს მის დედობრივ ზრუნვას, მის გულთბილ მოქცევას.

რიონში ზაფხულობით თავს იყრიდა მესხების ოჯახის ყველა წევრი. როგორი თბილი, ტკბილი დამოკიდებულება ჰქონდათ ურთიერთ შორის!

აქ, ამ შესანიშნავ ოჯახში გავატარე მთელი ზაფხული, ფეფიკოს ალერსით გამთბარმა. შემოდგომის დამდეგს დავბრუნდით ქუთაისში და იქ განვაგრძობდით სწავლას.

თეატრისაკენ ყოველთვის მიმიწევდა გული და როდესაც გავიგე, ეფემია თამაშობდა ალექსანდრე სუმბათაშვილის პიესა „ბორკილებში“, მანამ არ მოვასვენე ჩვენები, სანამ არ წამიყვანეს. მაშინ ვნახე პირველად ეფემია სცენაზე და ახლაც, ოთხმოცი წლის მოხუცს თვალწინ მიდგას მოხდენილი, დიდი ტემპერამენტის სათნო ქალი, ჩამესმის მისი ჟღერადი, ხავერდოვანი ხმა. თვალებდაჭყეტილი ვუყურებდი და ვუსმენდი ამ შესანიშნავ მსახიობს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მე თვითონ მომიხდა თამაში ლადო მესხიშვილის ბენეფისზე. იქაც ფეფიკომ ამადგმევინა ფეხი პირველად, გადამიკეთა თავისი თეთრი კაბა, გრიმიც თავის ხელით გამიკეთა და მითხრა: აბა, ახლა, სანამ ფარდა ჩამოშვებულია, გადი სცენაზე და ყველაფერი შეითვისე ისე, როგორც საჭიროა, არ გეუცხოვოს რაიმეო. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ფეფიკო პასუხსაგებ როლს ასრულებდა, ერთი წუთით არ მომშორებია, მისი ყურადღება მთელი პიესის მსვლელობის დროს ჩემსკენ იყო მომართული. მისი თვალები თან დამყვებოდა და მამხნევებდა. წარმოდგენის დასრულების შემდეგ კი გულში ჩამიკრა, დამკოცნა: — ჩვენი ხარ, გოგონი, ჩვენი, ახლა ველარსად გაგვექცევიო — და მართლაც ასე იყო, იმ დღიდან თეატრის „ტყვე“ შევიქენი.

შემდეგი წარმოდგენა იყო დიუმას (შვილის) პიესა — „ცოლის შვილი“. ამ პიესაში ფეფიკო ჩემს დედას თამაშობდა. ძვირფასი ფეფიკო! იქაც ისეთივე ყურადღება, ისეთივე გამხნევება. ერთ ადგილას სიტყვები შემეშალა, რამაც დიდად ამაღელვა და ამაცრემლა. ფეფიკომ გულში ჩამიკრა: „გენაცვალე, ნუცა, ნუ ღელავ, ასეთი შეცდომები ჩვენც ბევრი მოგვსვლია!“

მინახავს ეფემია „მარგარიტა გოტიეში“, „ანდრიანა ლეკუვრერში“, „ლალატში“, — ყველგან მომხიბლავი, გონივრულად გახსნილი ყოველი როლი, არაფერი ზედმეტი, გადაჭარბებული, ნამდვილი რეალისტური სკოლის მსახიობი იდგა მაყურებლის წინაშე. შემდეგში მეც შემისრულებია იგივე როლები და ფეფიკო, როგორც დიდი ხელოვანის მიერ დახატული სურათი, წინ მიმიძღოდა. ასეთი იყო ძალა დიდი მსახიობისა.

ეფემიას განსაკუთრებული სმენა ჰქონდა, უყვარდა მუსიკა და სიმღერა, რაც დიდად ეხმარებოდა ამა თუ იმ როლის შესრულების დროს.

მესხების ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენი მოწინავე, პროგრესულად განწყობილი ინტელიგენცია, ადამიანები, რომლებიც ენერგიას არ იშურებდნენ იმისათვის, რომ ქართული თეატრი რეალიზმის გზას დასდგომოდა.

ამ იდეებს სავსებით იზიარებდნენ ჩვენი ძველი თეატრის სულისჩამდგმელნი: ნატო გაბუნია, მაკო საფაროვი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, კოტე ყიფიანი, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია და სხვები, რომელთა ღირსეული პარტნიორი ათეული წლების განმავლობაში იყო ეფემია მესხი.

ეფემიამ თავისი ნიჭი ლიტერატურაშიც სცადა. მის მიერ თარგმნილი მოთხრობები იბეჭდებოდა მაშინდელ ქართულ გაზეთებში.

1898 წელს ეფემია გათხოვდა, მისი მეუღლე მაშინ ბაქოში მუშაობდა. ეფემიასათვის ძნელი იყო ქართულ სცენას განშორებოდა. საბედნიეროდ იმ დროს ბაქოში ბევრი ქართველი ცხოვრობდა; სცენის მოყ-

ვართა ჯგუფმა შეადგინა წრე, ეფემიას სთხოვეს მათთან ემუშავნა. აღსანიშნავია, რომ ამ სცენისმოყვარეთა ჯგუფში იყო და ხშირად მიუღია წარმოდგენებში მონაწილეობა ცნობილ ბოლშევიკს ალ. ჯაფარიძეს, რომელსაც იმ დროს მეფის მოხელეები დევნიდნენ, როგორც მათთვის არაკეთილსაიმედოს. ბაქოდან ეფემია ხშირად ჩამოდიოდა თბილისსა და ქუთაისში, მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა სპექტაკლებში, როგორც გასტროლიორი.

როგორც ცნობილია, კოტე მესხს მეგობრობა ჰქონდა ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინთან, მან თავისი ახალი პიესა „ღალატი" კოტეს გამოუგზავნა. კოტემ „ღალატი" გადმოთარგმნა ქართულად და კიდეც დაიდგა ქართულ სცენაზე. ზეინაბის როლი, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში და ბათუმში პირველად ეფემიამ ითამაშა. სხვა ბევრ როლებს შორის ეს როლიც ეფემიას რეპერტუარში შევიდა.

1905 წლის რევოლუციის დროს ეფემია ქუთაისში იყო და აპირებდა მოსკოვში წასვლას თავის დასთან. მოსკოვში წასვლამდე ლადო მესხიშვილმა სთხოვა მას მონაწილეობა მიეღო ერთ წარმოდგენაში. ქუთაისის დასში იმ დროს იმყოფებოდნენ: ნ. ჯავახიშვილი, დ. ივანიძე, ალ. იმედაშვილი, მ. ქორელი, ი. ზარდალიშვილი, ან. მურუსიძე, ნ. ჩხეიძე და სხვები. ქალაქში სამხედრო წესები იყო შემოღებული, ეწყობოდა ბარიკადები. რევოლუციურ მოძრაობას მხარი დაუჭირეს თეატრის მუშაკებმა. როგორც ცნობილია, ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით ბარიკადები აღმართეს მსახიობებმაც. ამ მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ეფემიამაც.

გადაიარა რევოლუციის ქარიშხალმა. ეფემია უკვე მოსკოვშია, ეცნობა მოსკოვის თეატრებს, სტანისლავსკის, ნემიროვიჩ-დანჩენკოს ნამუშევრებს, ბრწყინვალე მსახიობებს: კაჩალოვს, მოსკვინს, კნიპერს, ლეონიდოვს და სხვებს. იგი მოიხიბლა მცირე თეატრის დიდად ნიჭიერი მსახიობების თამაშით. განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო ეფემია მ. ერმოლოვას ზეინაბით.

დიდად აფასებდა ეფემია, როგორც მაღალნიჭიერ და ჭკვიან მსახიობს, ჩვენს თანამემამულეს ალ. სუმბათაშვილ-იუჟინს.

1922 წელს ეფემია მესხს შეუსრულდა სასცენო მოღვაწეობის 40 წელი; ქართველმა ხალხმა დიდი სიყვარულით და პატივისცემით აღნიშნა ეს თარიღი და მადლობა გამოუცხადა თავის ღვაწლმოსილ მსახიობს.

ეფემია მუშაობას განაგრძობდა მაშინაც კი, როდესაც ქართულ თეატრს სათავეში ჩაუდგა დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი (სხვათა შორის ეფემია კოტეს მამიდაშვილი იყო). მას იმდენად უყვარდა თეატრი და ხალხის სამსახური, რომ ეპიზოდურ როლებსაც კი არ თაკილობდა. ეფემიას სცენაზე გამოჩენა ყოველთვის დიდ სიხარულს იწვევდა მაყურებელში.

ნუცა ჩხეიძე,

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

# რატომ იწყებს ბავშვი ენაბლუობას

**(წერილი მეორე)**

ბავშვი ლაპარაკისათვის მზადებას იწყებს თითქმის დაბადების პირველ დღეებიდანვე. შემდეგში მისი მეტყველება გაივლის განვითარების რთულ საფეხურებს და ნორმალურ პირობებში 6-7 წლისათვის იგი იმდენად განვითარდება, რომ უკვე შეუძლია სკოლაში სწავლა, რადგან ამ დროისათვის მისი ლექსიკური ფონდი მდიდარია, წარმოთქმა უნაკლო და აზრის გადმოცემის გრამატიკული წყობა — სწორი.

მეტყველების განვითარების პერიოდში ზოგიერთი ბავშვი იწყებს ენაბლუობას, რადგან განვითარების პროცესში მყოფი, სუსტი სამეტყველო მექანიზმის დაზიანება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ზრდადასრულებულისა. ამიტომ სჭირდება ამ დროს ბავშვის მეტყველებას მეტად ფრთხილი, ფაქიზი მოპყრობა.

ენაბლუობას სხვადასხვაგვარი თვისებების მქონე ბავშვები იწყებენ, ამიტომ თვით ენაბლუობაც არ არის ყოველთვის ერთგვარი ხასიათის.

ზოგი ბავშვი ენაბლუობის დაწყებამდე ლაპარაკობს საკმაოდ ბევრს, ენას იდგამს ადრე. $1^1/_2$-2 წლის ასაკში სიტყვების საკმაო მარაგი აქვს და აზრის გამოთქმაც შეუძლია. თუმცა ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ მისი მეტყველების განვითარება დასრულებულია.

პატარა ლ., 3 წლის ბიჭუნა, მშობლების სიხარულია. ლამაზია, კარგად ვითარდება, სასიამოვნოდ ტიკტიკებს, ადვილად იმახსოვრებს პატარ-პატარა ლექსებს და ზღაპრებს. ამან მშობლები წაათამამა. დაუწყეს ბავშვს განურჩევლად ახალახალი წიგნების კითხვა. სტუმრებს აოცებს ბავშვის მეხსიერება. შესანიშნავი გასართობია. იწყება ბავშვის ცოდნისა და ძალღონის დემონსტრირება. მას ზომაზე მეტს ალაპარაკებენ. ბავშვიც ცდილობს უფროსების ინტერესის დაკმაყოფილებას — ინდომებს, იძაბება, იღლება და ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად ენაბლუობას იწყებს.

ენაბლუობას იწყებენ აგრეთვე სუსტი, ნერვიული ბავშვები, რომლებსაც მცირე ასაკში მეტად მგრძნობიარე ბუნება აქვთ. პატარა შენიშვნას ძლიერ განიცდიან, გულჩვილები არიან — ეცოდებათ ზღაპარში დაღუპული კურდღელიც და მელაც. ძილს უკრთობთ და მოსვენებას უკარგავთ ძილის წინ მოსმენილი ზღაპრის შინაარსი. ზოგი მათგანი 2-5 წლის ასაკში ზედმეტად მშიშარაა — ეშინია: ბუმბულის, ჩრდილის, წყლის, ბნელი ოთახის, ცხოველების, უცნობი ადამიანების და სხვ. სმენა გამახვილებული აქვთ — უფროსების ლაპარაკს თავისებურად აღიქვამენ და ღრმად განიცდიან.

პატარა ჯ. 4 წლის გოგონაა. მოულოდნელად მისმა მამამ ოჯახი დატოვა და მეორე ცოლთან გადასახლდა. ბავშვს მამა ძლიერ უყვარდა. ოჯახში კი მისი ძაგება დაიწყეს. გამწარებული დედა შვილს მუდამ ერთსა და იმავეს უმეორებდა: მამაშენი ცუდია, შენ დაგტოვა, სხვა შვილი იშოვა და იმასთან წავიდაო. განერვიულებული ბავშვი დედას აღელვებით, სუნთქვაშეკრული და ბორძიკით უმტკიცებდა: მამა კარგია, ის ჩემთან მოვა, მალე მოვაო. პირველ ხანებში დედა შვილის ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა, მამის დამუშავება კი გრძელდებოდა. ხშირმა უსიამოვნო განცდებმა ბავშვი უფრო და უფრო გაანერვიულა და ენაბლუობაც თანდათან გაუძლიერდა. დედამ გვიან შეამჩნია შვილს მეტყველებაში ცვლილება და სასოწარკვეთილებას მიეცა, ენაბლუობის მიზეზს კი ვერ მიხვდა.

პატარა ალ-მ, $3^1/_2$ წლის ბიჭმა, ენაბლუობა მაშინ დაიწყო, როდესაც მშობლებს შორის უსიამოვნებები გახშირდა და ამან ბავშვის ცნობიერებამდე მიაღწია. ბავშვთან დროულად იყო დაწყებული ლოგოპედიური მუშაობა, მაგრამ ყოველთვის, როგორც კი ბავშვი ოჯახში ახალი უსიამოვნების მოწმე გახდებოდა (ეს უსიამოვნება ცემატყეპამდეც მიდიოდა) მისი მეტყველება ხელახლა უარესდებოდა.

რადგან ბავშვი ლაპარაკს მიბაძვით სწავლობს, ის ითვისებს უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსების მეტყველების ყოველგვარ თავისებურებას — ენაჩლუნგობას, ენაბლუობას და სხვ. განსაკუთრებით ფრთხილი მოპყრობა ესაჭიროება იმ ბავშვებს, რომელთა მშობლები ან ახლო ნათესავები ენაბლუობენ ან ენაბლუობდნენ. ზოგჯერ ასეთ ბავშვებს უფრო მგრძნობიარე ნერვული სისტემა აქვთ და მათი სამეტყველო წონასწორობის დარღვევა შედარებით უფრო ადვილად ხდება.

ახლად ლაპარაკის დამწყებ ბავშვის მეტყველებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს დედის, მამის ან ოჯახის სხვა წევრის ნერვიული, დაძაბული და ზედმეტად ჩქარი მეტყველება. იგი ბავშვის ნერვულ წონასწორობას ადვილად არღვევს, რადგან აიძულებს მას იაზროვნოს და ილაპარაკოს უფრო ჩქარა, ვიდრე მის სუსტ ბუნებას შეუძლია.

ზოგი ბავშვი ენის ამოდგმას აგვიანებს, ლაპარაკს იწყებს ნელა, ლექსიკონს ივსებს ერთგვარი გაძნელებით, უჭირს სიტყვების სწორად წარმოთქმა, სიტყვებში ზოგიერთ ბგერებს წარმოთქვამს დამახინჯებით, უძნელდება რთული სიტყვების წარმოთქმა. ზოგჯერ ლაპარაკის დროს ავიწყდება საჭირო სიტყვები. ასეთი ბავშვი აზრის გამოთქმას მეტ დროს და ენერგიას ანდომებს, მისი ენაბლუობაც სხვაგვარი ხასიათისაა.

საერთოდ, ბავშვი სიტყვის ცნობას — აზრის გაგებას (პასიური ლექსიკონი) უფრო ადრე ეჩვევა, ვიდრე მის მოხმარება-გამოყენებას. მეტყველების დაგვიანებული განვითარების შემთხვევაში სწორედ პასიური ლექსიკონის აქტიურად გამოყენება უძნელდებათ. მაგალითად, ბავშვმა იცის, რომ ყოველ საგანს და მოქმედებას თავისი სახელი აქვს და მათ ერთმანეთში არ აურევს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო სიტყვის მოგონება-წარმოთქმა შესაძლოა გაუჭირდეს.

მეტყველების დაგვიანებული განვითარების შემთხვევაში ადგილი აქვს აგრეთვე წარმოთქმის ანუ სამეტყველო ორგანოების მოძრაობის უნარის სისუსტეს. ბავშვი, რომელსაც უფროსების ნათქვამი მშვენივრად ესმის, გაჩუმებულია იმიტომ, რომ არ შეუძლია წარმოთქმისათვის საჭირო მოძრაობების შესრულება. შინაურებს კი ჰგონიათ, რომ ბავშვს ლაპარაკი ეზარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში ვიცოდეთ, როგორ მივეხმაროთ ბავშვს, რომ არ გავანერვიულოთ და არ დავაწყებინოთ ენაბლუობა.

პატარა ბავშვს საერთოდ ლაპარაკს ვერ ვასწავლით. 2-4 წლის ბავშვი ლაპარაკს სწავლობს მხოლოდ მიბაძვით და არა უფროსების მოთხოვნით და მითითებით. მას ხშირად ესმის ერთი და იგივე სიტყვები, იმახსოვრებს მას, ცდილობს გაიმეოროს, წარმოთქვას დამოუკიდებლად. იგი ამისათვის წინასწარ ამზადებს თავის სამეტყველო აპარატს: 3-4 თვის ასაკიდან იწყებს ღუღუნს — ცალკე ბგერების და მარცვლების წარმოთქმას (ღ... ღ... აღუ, გ... აგა... ბ... ბუმ... და სხვა), შემდეგ ტიტინს — მარტივი სიტყვებისა და თავისებურად გამარტივებული სიტყვების წარმოთქმას, მხოლოდ ამის შემდეგ ახერხებს ლაპარაკის დაწყებას. კატეგორიული მოთხოვნით— წარმოთქვას ბავშვმა რომელიმე სიტყვა — მიზანს ვერ მივაღწევთ. თუ ამისათვის ბავშვი დავტუქსეთ ან დავუწუნეთ არასწორად წარმოთქმული სიტყვა, მაშინ ბავშვს დავუკარგავთ საკუთარი ძალების რწმენას და სიძნელის დაძლევის სურვილს. არ ვარგა აგრეთვე ბავშვის თანდასწრებით მისი მეტყველების უვარგისობაზე ლაპარაკი. იმიტომ, რომ ასეთი ბავშვები, მართალია თვითონ ცუდად ლაპარაკობენ, მაგრამ უფროსების ნათქვამი კარგად ესმით.

პატარა ირ-მ გვიან ამოიდგა ენა, პირველი სიტყვების წარმოთქმა მხოლოდ 2 წლის შემდეგ დაიწყო. შემდეგში მისი ლექსიკონი ნელ-ნელა ივსებოდა. უჭირდა ლაპარაკი, თუმცა სხვების ნათქვამი კარგად ესმოდა. შინაურებს აწუხებდათ ირ-ს „სიზარმაცე". ბავშვის ბებია დედას საყვედურობდა, რომ ბავშვის მეტყველების განვითარებაზე არ ზრუნავდა. როდესაც ბებია და შვილიშვილი მარტო დარჩებოდნენ, ბებია ყოველნაირად ცდილობდა მის ალაპარაკებას. მაგალითად, თუ ბავშვი წყალს თხოვდა, არ დაალევინებდა მანამ, სანამ არ ათქმევინებდა სიტყვას „წყალს" და ა. შ. ხშირად ასეთ მეცადინეობას დიდი დრო უნდებოდა და ბავშვი უსმელ-უჭმელი რჩებოდა, სანამ საჭირო სიტყვის წარმოთქმას ვერ მოახერხებდა. ზოგჯერ ამ ხერხით ბებია სასურველ შედეგს აღწევდა და ბავშვის ლექსიკონს სიტყვებს თანდათან უმატებდა, მაგრამ ბავშვმა ვერ გაუძლო ბებიას შემოტევას და ბოლოს ენაბლუობა დაიწყო.

ხალხში გავრცელებულია შეხედულება, თითქოს ენაბლუობას იწვევდეს ენის ნაკლი — მისი მოკლე ლაგამი ანუ დაბმა. ამიტომ ზოგიერთი მშობელი ეძებს სპეციალისტს, რომელიც ბავშვს ენას აუცრის, ე. ი. აუხსნის დაბმულ ენის წვერს. ეს შეხედულება მცდარია, არავითარი ენის დაბმა და მოკლე ლაგამი არ იწვევს ენაბლუობას. მისი გამომწვევი მხოლოდ ნერვიული სპაზმებია, რომელიც სამეტყველო აპარატის სხვადასხვა ადგილებში ჩნდება.

არიან ბავშვები, რომელთაც ენის ლაგამი მართლაც ისე მოკლე აქვთ, რომ არ შეუძლიათ ენის წვერის მაღლა აწევა და მაგარ სასაზე შეხება. ასეთი ენის წვერი ბლაგვია, არ შეუძლია წაწვეტება და მაშასადამე არც ათრთოლება, რაც საჭიროა ბგერა რ-ს წარმოსათქმელად. ამის გამო ბავშვი, რომელსაც ენის მოკლე ლაგამი აქვს, ზოგჯერ სწორად ვერ წარმოთქვამს „ლ" და „რ" ბგერებს. ზოგი ბავშვი კი ენის მოკლე ლაგამითაც ამ ბგერებს სწორად წარმოთქვამს. დანარჩენი ბგერების წარმოთქმაზე ის გავლენას არ ახდენს. ამ ნაკლის გამოსასწორებლად შეიძლება ენის ლაგამის შეჭრა, მაგრამ სპეციალური ლოგოპედური ვარჯიშის გარეშე ამ ბგერების სწორად წარმოთქმა ზოგიერთ ბავშვს მაინც უძნელდება. ენის სპეციალური ვარჯიშის შედეგად ოპერაციის გარეშეც შესაძლებელია ამ ბგერების სწორად წარმოთქმა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის მეტყველების განვითარება ნორმალურად მიმდინარეებს, ე. ი. ამბის გადმოცემის დროს არ იგრძნობა ლექსიკონის სიღარიბე, სიტყვების დავიწყება და განსაკუთრებული დეფექტური ბგერათწარმოთქმა, მაშინ ენაბლუ ბავშვისადმი სწორ დამოკიდებულებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს: არ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ის ცუდად ლაპარაკობს, არ უნდა მოვთხოვოთ სწორად ლაპარაკი. ბავშვმა არ უნდა მოინდომოს სწორად წარმოთქმა. მეტყველება მაშინ არის ნორმალური, როდესაც იგი თავისუფლად, ყოველგვარი მონდომებისა და კუნთების დაძაბულობის გარეშე მიმდინარეობს. მონდომების დროს იგი დაძაბავს სამეტყველო აპარატის კუნთებს და წარმოთქმა უფრო მეტად გაუჭირდება. არ უნდა გავუსწოროთ ბორძიკით წარმოთქმული სიტყვები. მართალია, გამეორების შემდეგ ბავშვი ყოველთვის უფრო სწორად წარმოთქვამს, მაგრამ გამეორება ენაბლუობას არ ასუსტებს. ბავშვი ყურადღებას აქცევს და იმახსოვრებს არა იმას, რომ მან მეორეთ სიტყვის სწორად წარმოთქმა შესძლო, არამედ იმას, რომ შეეშალა და შეუსწორეს. რაც უფრო მეტად მივაქცევინებთ ყურადღებას წარმოთქმის შეცდომაზე, მით უფრო მეტად გავუძლიერებთ წარმოთქმის შიშს და საკუთარ უძლურობაში დავარწმუნებთ. ლაპარაკის დროს ბავშვს ხშირად უნდა მივეშველოთ, ე. ი. ზოგიერთი სიტყვები წარმოვთქვათ მის მაგივრად. ეს დახმარება — სიტყვების კარნახი ბავშვისათვის შეუმჩნეველი უნდა დარჩეს.

უფროსები ენაბლუ ბავშვს ყოველთვის უნდა ელაპარაკებოდნენ მშვიდად, ზომიერი ტემპით. უფროსის სიმშვიდე, ნელი საუბრის ტემპი ადვილად გადაედება პატარა მოსაუბრეს—ისიც თანდათან მშვიდდება, იწყებს ისეთივე ნელი ტემპით ლაპარაკს და ენაბლუობა თანდათან სუსტდება.

ბავშვი არ უნდა ვავარჯიშოთ სწრაფ წარმოთქმაზე და არ დავტვირთოთ ლაპარაკით ზომაზე მეტად. უნდა მოვარიდოთ უსიამოვნო შინაარსის საუბარს, ძილის წინ ამაღელვებელი ზღაპრების მოსმენას და სანახაობებს. შევუქმნათ მშვიდი, მყუდრო გარემო.

მეტყველების გაუარესების შემთხვევაში სწრაფად შევუქმნათ ნორმალური პირობები ან მივმართოთ სპეციალისტ-ლოგოპედს.

მაშინ, როდესაც ბავშვის მეტყველების განვითარება დაგვიანებით და გაძნელებით მიმდინარეობს, საკმარისი არ არის მხოლოდ ზემოდასახელებული პირობების დაცვა, ამ შემთხვევაში საჭიროა ფრთხილად, მეთოდურად სწორი მუშაობა მეტყველების განვითარებაზე იმგვარად, რომ ბავშვს წარმოთქმა გაუადვილდეს, ლექსიკონი გაუმდიდრდეს და შეეჩვიოს აზრის თავისუფლად გადმოცემას. ბავშვის მეტყველების განვითარებაზე მუშაობა სპეციალისტის დახმარებით და ხელმძღვანელობით უნდა მიმდინარეობდეს.

მთავარია ბავშვის გამოსწორებაზე ვიზრუნოთ, ენაბლუობის დაწყების პირველ დღეებიდან და არა თვეებისა და წლების შემდეგ.

**ლოგოპედი ტატიანა უგულავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყვავილები ბინაში



1



2



3

დიდიხანია, რაც ადამიანები ყვავილებს იყენებენ ბინებისა და საყოფაცხოვრებო საგნების დასამშვენებლად. წარსულში ზოგჯერ ყვავილს საგულისხმო მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ. მაგალითად, იტალიაში, კერძოდ, რომში ბინებში მაგიდასთან ჰკიდებდნენ ვარდის ტოტს, რაც მასპინძელსა და სტუმარს შორის საიდუმლო საუბრის მაუწყებელი იყო — ეს ნიშნავდა, რომ დიალოგის შინაარსი ბინისგარეთ არ უნდა გასულიყო.

ახლა ცოცხალ ყვავილებს იყენებენ ბინების, აივნისა და საკარმიდამო ნაკვეთის დასამშვენებლად, ყვავილი ბინების მინიატურული კუთხეების მორთულობის განუყოფელ ნაწილად გადაიქცა. ხომ შეგიმჩნევიათ, რა სადღესასწაულო იერს ანიჭებს ბინას თუნდაც მხოლოდ ერთი მწვანე ტოტი! გავალამაზოთ ჩვენი საცხოვრებელი მარადმწვანე მცენარეებით, მითუმეტეს, რომ მათი მოვლა არ მოითხოვს დიდ ჯაფასა და ხანგრძლივ დროს.

ბინის მოსართავად გამოიყენება ხანგრძლივი მოყვავილე და ფოთლოვან-დეკორაციული ყვავილები, მარად მწვანე, ხვიარა და ამპელური (დაკიდებულ ტოტებიანი) მცენარეები.

როცა ბინის მოსართავ ყვავილებს ვიძენთ, წინასწარ უნდა ვიცოდეთ ამ მცენარის მიდრეკილება სინათლისა და ჩრდილისადმი, წყლისა და ნოყიერი ნიადაგის მოთხოვნილება და ა. შ.

მზიანი, სამხრეთის ექსპოზიციის ფანჯრის რაფაზე კარგად ხარობს კაქტუსები, ალოე, კალანხოი, აგავა, უდაბნოსა და ცხელი ქვეყნების მცენარეები. ეს ყვავილები ფანჯრის მინებს გარკვეულ მანძილით უნდა დავაშოროთ, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, რადგან სუსხი წაყინავს ყვავილის ფოთლებს და ახალგაზრდა ნაზარდებს.

ყვავილის დიდი ნაწილი განათებულ ადგილს მოითხოვს. მაგრამ არის ყვავილთა ჯგუფი, რომლებიც ჩრდილსა და ნახევრად განათებულ ადგილს კარგად ეგუებიან. ასეთებია: სატაცური (ასპარაგუსი), მონსტერა, ფათალო (სურო), ბეგონია რექსი, ჰორიკანა (ტრადესკანცია), ცისუსი, ასპიდისტრა. ოქროს ხე (აუკუბა), გვიმრები, ფხიჯა, იუსტიცია და სხვა.

განათებულ, მაგრამ შედარებით გრილ ადგილებში კარგად ხარობს: ულეველა (ბეგონია), ნემსიწვერა (პელარგონიუმი), არალია, ფუქსია და ა. შ. ხოლო ოთახის მზიან ადგილებში განლაგდება: ვარდი, მიხაკი, დეკორაციული ჰინჰარი (კოლეუსი) და სხვა.

მაღალი მცენარეები: ფიკუსი, ციტრუსები, პალმები და ჩინური ვარდი, ქოთნით ან ყუთით იდგმება იატაკზე, ხოლო ფანჯრის ზედა ნაწილში იკიდება ამპელური მცენარეები: სატაცური, ჰორიკანა, მეზემბრიანთემუმი, ხლოროფიტუმი, ფხიჯა, სურო, ნასტურცია და სხვა (ნახ. 1).

კარგი იქნება, ეს მცენარეები შტატივზე ჩამოვკიდოთ, ხოლო მის დიაგონალურად დაბლა, ფანჯრის რაფის ქვემოთ ყვავილები დაბალ მაგიდაზე განვალაგოთ. (ნახ № 2). ნუ დავტვირთავთ ფანჯრის რაფას ქოთნებითა და ყუთებით. რაფაზე ყვავილების განლაგება ახლა აღარაა მოდაში და ბინასაც აბნელებს. სასურველია, სარკმელის ზედა ნაწილში გაკეთდეს გრძივი ჩამოკიდებული რაფა, რომელიც ნაწილობრივ განტვირთავს ფანჯარაზე ყვავილების ჯგუფს (ნახ. № 3).

ასევე შეიძლება ყვავილები ფანჯრის გვერდით კედელზე მივამაგროთ სპეციალური ქოთნებით ან ხის ყუთებით (ნახ. № 4).

ოთახს შნოსა და სილამაზეს მატებს ფანჯარასთან ან ინტერიერის სიღრმეში დადგმული ჩარჩო, ტრელიაჟი, რომელზეც ჩამოვკიდებთ სხვადასხვაგვარ მცენარეებს (ნახ. 5. 6.). ამგვარი გაფორმებით შეიძლება შევქმნათ ხვიარა და ამპელური მცენარეებისაგან „დაკიდებული ბაღი“. თუ ერთი ოთახი გვაქვს, ასეთი მწვანე ტრელიაჟი ძალიან მოხერხებულად გამიჯნავს ოთახს და მყუდრო კუთხეს შექმნის.

**შ. ისაკაძე,**

თბილისის ბოტანიკური ბაღის უმცროსი მეცნიერმუშაკი.



4



5



6

# ყვავილები ბინაში

დიდიხანია, რაც ადამიანები ყვავილებს იყენებენ ბინებისა და საყოფაცხოვრებო საგნების დასამშვენებლად. წარსულში ზოგჯერ ყვავილს საგულისხმო მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ. მაგალითად, იტალიაში, კერძოდ, რომში ბინებში მაგიდასთან ჰკიდებდნენ ვარდის ტოტს, რაც მასპინძელსა და სტუმარს შორის საიდუმლო საუბრის მაუწყებელი იყო — ეს ნიშნავდა, რომ დიალოგის შინაარსი ბინისგარეთ არ უნდა გასულიყო.



1

ახლა ცოცხალ ყვავილებს იყენებენ ბინების, აივნისა და საკარმიდამო ნაკვეთის დასამშვენებლად, ყვავილი ბინების მინიატურული კუთხეების მორთულობის განუყოფელ ნაწილად გადაიქცა. ხომ შეგიმჩნევიათ, რა სადღესასწაულო იერს ანიჭებს ბინას თუნდაც მხოლოდ ერთი მწვანე ტოტი! გავალამაზოთ ჩვენი საცხოვრებელი მარადმწვანე მცენარეებით, მითუმეტეს, რომ მათი მოვლა არ მოითხოვს დიდ ჯაფასა და ხანგრძლივ დროს.



4

ბინის მოსართავად გამოიყენება ხანგრძლივი მოყვავილე და ფოთლოვან-დეკორაციული ყვავილები, მარად მწვანე, ხვიარა და ამპელური (დაკიდებულ ტოტებიანი) მცენარეები.

როცა ბინის მოსართავ ყვავილებს ვიძენთ, წინასწარ უნდა ვიცოდეთ ამ მცენარის მიდრეკილება სინათლისა და ჩრდილისადმი, წყლისა და ნოყიერი ნიადაგის მოთხოვნილება და ა. შ.

მზიანი, სამხრეთის ექსპოზიციის ფანჯრის რაფაზე კარგად ხარობს კაქტუსები, ალოე, კალანხოი, აგავა, უდაბნოსა და ცხელი ქვეყნების მცენარეები. ეს ყვავილები ფანჯრის მინებს გარკვეულ მანძილით უნდა დავაშოროთ, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, რადგან სუსხი წაყინავს ყვავილის ფოთლებს და ახალგაზრდა ნაზარდებს.



2

ყვავილის დიდი ნაწილი განათებულ ადგილს მოითხოვს. მაგრამ არის ყვავილთა ჯგუფი, რომლებიც ჩრდილსა და ნახევრად განათებულ ადგილს კარგად ეგუებიან. ასეთებია: სატაცური (ასპარაგუსი), მონსტერა, ფათალო (სურო), ბეგონია რექსი, ჭორიკანა (ტრადესკანცია), ცისუსი, ასპიდისტრა, ოქროს ხე (აუკუბა), გვიმრები, ფხიჯა, იუსტიცია და სხვა.

განათებულ, მაგრამ შედარებით გრილ ადგილებში კარგად ხარობს: ულეველა (ბეგონია), ნემსიწვერა (პელარგონიუმი), არალია, ფუქსია და ა. შ. ხოლო ოთახის მზიან ადგილებში განლაგდება: ვარდი, მიხაკი, დეკორაციული ჭინჭარი (კოლეუსი) და სხვა.



5

მაღალი მცენარეები: ფიკუსი, ციტრუსები, პალმები და ჩინური ვარდი, ქოთნით ან ყუთით იდგმება იატაკზე, ხოლო ფანჯრის ზედა ნაწილში იკიდება ამპელური მცენარეები: სატაცური, ჭორიკანა, მეზემბრიანთემუმი, ხლოროფიტუმი, ფხიჯა, სურო, ნასტურცია და სხვა (ნახ. 1).

კარგი იქნება, ეს მცენარეები შტატივზე ჩამოვკიდოთ, ხოლო მის დიაგონალურად დაბლა, ფანჯრის რაფის ქვემოთ ყვავილები დაბალ მაგიდაზე განვალაგოთ. (ნახ № 2). ნუ დავტვირთავთ ფანჯრის რაფას ქოთნებითა და ყუთებით. რაფაზე ყვავილების განლაგება ახლა აღარაა მოდაში და ბინასაც აბნელებს. სასურველია, სარკმელის ზედა ნაწილში გაკეთდეს გრძივი ჩამოკიდებული რაფა, რომელიც ნაწილობრივ განტვირთავს ფანჯარაზე ყვავილების ჯგუფს (ნახ. № 3).



3

ასევე შეიძლება ყვავილები ფანჯრის გვერდით კედელზე მივამაგროთ სპეციალური ქოთნებით ან ხის ყუთებით (ნახ. № 4).

ოთახს შნოსა და სილამაზეს მატებს ფანჯარასთან ან ინტერიერის სიღრმეში დადგმული ჩარჩო, ტრელიაჟი, რომელზეც ჩამოვკიდებთ სხვადასხვაგვარ მცენარეებს (ნახ. 5. 6.). ამგვარი გაფორმებით შეიძლება შევქმნათ ხვიარა და ამპელური მცენარეებისაგან „დაკიდებული ბაღი“. თუ ერთი ოთახი გვაქვს, ასეთი მწვანე ტრელიაჟი ძალიან მოხერხებულად გამიჯნავს ოთახს და მყუდრო კუთხეს შექმნის.



6

**შ. ისაკაძე,**
თბილისის ბოტანიკური ბაღის უმცროსი მეცნიერმუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩაცმის კულტურის ანბანი

## ანსამბლი და აქსესუარები

ზოგჯერ, როცა ტანსაცმელზეა ლაპარაკი, ჩვენ გავიგონებთ სიტყვას „ანსამბლი" და ამ შემთხვევაში, ე. ი. როცა ეს ტერმინი ტანსაცმელთან არის დაკავშირებული, „ანსამბლი". ნიშნავს ჩაცმულობის, ტუალეტის ძირითადი და დამატებითი ნაწილების ერთიანობას და ურთიერთ-შეხამებას, ჰარმონიულობას.

მზა ანსამბლის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კოსტუმი — ქვედატანი, ჟაკეტი და ჟაკეტის ქვეშ ჩასაცმელი თხელი ბლუზა. შეიძლება ანსამბლი შევქმნათ სხვადასხვა ელემენტებისაგან, ასე, მაგალითად: ქვედატანის, ბლუზისა და ნაქსოვი ჟაკეტისაგან; ან ორი ნაქსოვი ბლუზისაგან — თუ ერთი მოკლესახელოიანია, მეორე კი გრძელსახელოიანი.

რის მიხედვითაც შეიძლება ანსამბლში ჩაცმულობის სხვადასხვა ელემენტის დაკავშირება? — ქსოვილის ფაქტურით, სტილის ერთიანობითა და ფერთა შეხამებით.

ახლა „აქსესუარიც" განვსაზღვროთ. აქსესუარების რიცხვს ეკუთვნის: ქუდი, ხელჩანთა, წინდები, ჰალსტუხი, შარფი, მძივები, ქამარი და — ტუალეტის სხვა დამატებითი ნაწილები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ტანსაცმლის იერისათვის. კიდეც რომ არაფერი ვთქვათ ამ საგნების თავისთავად პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, სწორედ ეს აქსესუარები აერთიანებენ ჩაცმულობის სხვადასხვა ნაწილებს და ჰქმნიან ერთ მთლიან ანსამბლს.

კარგად, გემოვნებით შერჩეული აქსესუარები ელეგანტურ ანსამბლად აქცევს თუნდაც სრულიად უბრალო, სადა ტუალეტს.

თუ თქვენ კარგი გემოვნება გაქვთ, შეიძლება ორი-სამი კაბით თქვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს შეუქმნათ შთაბეჭდილება, თითქოს ბევრი ტანსაცმელი გაქვთ. და ამის საშუალებას სწორედ აქსესუარები გაძლევთ.

ვთქვათ გაქვთ, მკაცრი ფასონის შავი კაბა სქელი აბრეშუმის ან შალის ქსოვილისაგან. თუ ამ კაბას თეთრი საყელოთი და სამაჯეებით გააწყობთ, ფეხზე კი შავ ან ღია ფერის ტყავის ფეხსაცმელს ჩაიცვამთ, ეს თქვენი ტუალეტი კარგი იქნება სამსახურში წასასვლელად.

ხოლო თუ ამ კაბასთან ზამშის ან ლაქის ფეხსაცმელს ჩაიცვამთ, ყელზე მძივს, ან მკლავზე სამაჯურს გაიკეთებთ, ასე გამოწყობილი თამამად შეიძლება თეატრში ან კონცერტზე წაბრძანდეთ.

ჭრელი ან რაიმე ხასხასა ფერის შარფი, საყელო, ფერადი ტყავის ჩანთა და ქამარი კაბას „ამხიარულებს". ეს ტუალეტი კარგია სტუმრად ან მეგობრებთან წასასვლელად.

ამრიგად, სამი სახეობის აქსესუარი საშუალებას მოგვცემს სხვადასხვანაირად გამოვიყენოთ ერთი კაბა.

ყოველგვარი ტანსაცმელი გალამაზდება და დამშვენდება, თუ ტუალეტის დამატებით ნივთები ეხამება მას და აერთიანებს.

კოსტუმი ნამდვილ ელეგანტურია მაშინ, როცა ის მთლიანობაშია და არ წარმოადგენს სხვადასხვა ნივთების — თუნდაც ძალიან ძვირფასი და ლამაზი ნივთების კრებულს.

ალბათ, შეგიმჩნევიათ: ზოგჯერ ქუდი, შესანიშნავი, ლამაზი და მოხდენილი ფასონის, სახეზეც რომ გვშვენით, ისე არ უხდება ჩვენს დანარჩენ მორთულობას, რომ მას ჩვენ აღვიქვამთ, როგორც რაღაცას სრულიად შეუფერებელს, მკვეთრად კონტრასტულს და მხედველობისთვის არასასიამოვნო ლაქას. ჰოდა, როცა ამ ქუდს ვიხურავთ, თვითონ ტანსაცმელიც კარგავს ასეთი შეხამებისაგან თავის მიმზიდველობას.

აქსესუარები შეიძლება ძირითად ტანსაცმელს — კაბას, კოსტუმს, პალტოს შევუფარდოთ, შეიძლება — ერთმანეთს. აქსესუარებს ვუხამებთ ერთმანეთს როგორც ფერით, ისე ფაქტურით.

აქსესუარების შერჩევისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ფერების ზუსტ და არა დაახლოებით შეფარდებას. მაგალითად, ვთქვათ ყავისფერი ტუალეტისათვის გვინდა შევიძინოთ დამატებითი ნივთები. ამ შემთხვევაში შეგვიძლია შევარჩიოთ უფრო ღია ყავისფერი ხელჩანთა, ფეხსაცმელი — უფრო მუქი, ხოლო ხელთათმანები ყველაზე ბაცი ფერისა. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, შექმნის ანსამბლს.

მაგრამ თუ აქსესუარებს ვარჩევთ წითელი ფერისათვის, ვყიდულობთ შინდისფერ ფეხსაცმელს, მარჯნისფერ ხელჩანთას, მუქ ვარდისფერ შარფს ან ხელთათმანებს, ვერავითარ ანსამბლს ვერ შევქმნით, რადგან ყველა ეს ნივთი სხვადასხვა ფერს იკრავს, არაა შეხამებული ერთმანეთთან, მიუხედავად იმისა, რომ მათი ძირითადი ფერი წითელია. ამიტომ აქსესუარების შერჩევისას ისევე უნდა მოვიქცეთ, როგორც ტანსაცმლის შესაფერი ძაფის ყიდვისას — თან წავიღოთ ქსოვილის პატარა ნაჭერი და ისე, თვალნათლივ ვნახოთ: — უხდება თუ არა ამა თუ იმ ნივთის ფერი ტანსაცმლის ძირითადი ელემენტის ფერს.

როცა მკვეთრი ფერის აქსესუარებს ვარჩევთ, უმჯობესია ორი ან, უკიდურეს შემთხვევაში, სამი ფერით დავკმაყოფილდეთ. სავსებით საკმარისია, თუ ხელჩანთა და ფეხსაცმელი ერთი ფერის იქნება, ხოლო დანარჩენი აქსესუარები — ძირითადი ტანსაცმლის ფერის.

ღილები, ბალთა, შესაკრავი — „ელვა", ქამარი, ჯიბეები, ნაკეცები, ბაფთა და პლისე, მართალია ტანსაცმლის დეტალებს წარმოადგენს, მაგრამ მისი გასაწყობი მასალაც არის და ისინიც ცვლილებებს განიცდის მოდის ცვლილებასთან ერთად.

მაგრამ ამაზე შემდეგ ვისაუბროთ.

# კოსმეტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდები



## ტუჩების მოვლა

ტემპერატურის მერყეობა (ქარი, წვიმა, მზე, ყინვა), ცხელი და ცივი საჭმელები და ორგანიზმში ვიტამინ B-ს ნაკლებობა იწვევს ტუჩებზე ფერის შეცვლას და აქერცვლას. თუ ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების მოქმედება დიდხანს გრძელდება, ტუჩებზე ჩნდება ნაჭდევები და სისხმდენი ნახეთქები. ტუჩების ლოკვა, კვნეტა და თითებით ტუჩების მოწმენდა არ არის ჰიგიენური. ტუჩის კუთხეებთან დაგროვილი ნერწყვი უნდა მოიწმინდოთ სუფთა, გაუთოვებული ცხვირსახოცით. ქუჩაში გასვლის წინ ტუჩებზე წაისვით მკვებავი კრემი, პომადა ან ახალი კარაქი (უმარილო). პროფილაქტიკური თვალსაზრისით ტუჩების დასარბილებლად შეგიძლიათ იხმაროთ ორი ასეთი ნარევი:

1) 1 კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი ბორის მჟავა, 2 სუფრის კოვზი გლიცერინი.

2) კაკაოს ცხიმი 5,0 გრ, ატმის კურკის ზეთი 10,0 გრ.

## კისრის მოვლა

ყელის კოსმეტიკურ ნაკლოვანებად ითვლება კანის მოდუნება, დაჭკნობა, კანის ჩამოკიდება, ნაოჭები, ლაქები და ორმაგი ნიკაპი-ღაბაბი. ასეთ ცვლილებებს კანზე იწვევს როგორც შინაგან ორგანოთა დაავადებანი (ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ფარისებრი ჯირკვლების დაავადება ან კლიმაქსის პერიოდი), ისე გარეშე ფაქტორები (ქარი, მზე, ყინვა). 30 წლის ზევით ყველა ქალმა უნდა მიაქციოს ყურადღება ყელზე კანის მდგომარეობას.

წარმოსადეგობას — სხეულის სწორ მდგომარეობას არა მარტო ესთეტიკური სილამაზე აქვს, არამედ მას მნიშვნელობა აქვს შინაგან ორგანოთა მუშაობისთვისაც.

ასე, მაგალითად, როცა თავი დახრილია, ნიკაპი მკერდზეა დაყრდნობილი და მხრები ჩამოშვებულია, ამით გაძნელებულია ნორმალური სუნთქვა. კისრის წინა ნაწილის კუნთები მოდუნებულია და მასზე ადვილად ჩნდება ნაკეცები.

თავი მაღლა უნდა გეჭიროთ, მხრებში გაიმართოთ, ნიკაპი არ დააყრდნოთ გულმკერდს, იარეთ და იჯექით სწორად, ნუ გძინავთ მაღალ ბალიშზე.

კისერი უნდა დაიბანოთ ყოველდღე საპნით და წყლით (ცივი წყლით-მშრალი კანი, ცხელი წყლით-ცხიმიანი), დაბანის შემდეგ ყელზე წაისვით ცხიმიანი კრემი: „საბავშვო", „მკვებავი", „ლანოლინის". 20-30 წუთის შემდეგ კრემი უნდა შეიზილოთ ხელის ნაზი მოძრაობით ზევიდან ქვევით. ასე უნდა გაიმეოროთ 10-15-ჯერ. კისრის უკანა მხარეზე კრემი უნდა წაისვათ წრიული მოძრაობით 5-10-ჯერ. თუ კისერზე, უკან არის ცხიმის დაგროვება, გარდა დაზელვისა, ხანგამოშვებით კარგია მასაჟი ხელების ტყაპუნით (ხან ერთი, ხან მეორე ხელით 10-15-ჯერ).

თუ კანი კისერზე უფრო მუქი გაქვთ, ვიდრე სახეზე, კრემის წასმის წინ კისერზე ბამბის ტამპონით წაისვით ლიმონის, კიტრის ან პამიდვრის წვენი.

შეიძლება გადაჭრათ ლიმონი, კიტრი, პამიდორი და პირდაპირ წაისვით კისერზე. ყველა ეს ჩამოთვლილი საშუალებანი ათეთრებს ყელს.

უფრო ენერგიულ გამათეთრებლად ითვლება 3-პროცენტიანი წყალბადის ზეჟანგის საფენები. დოლბანდს დაკეცავთ 2-3 ფენად, დაასველებთ 3-პროცენტიან წყალბადის ზეჟანგის ხსნარში და შემოიხვევთ კისრის ირგვლივ 5-8 წუთით. ასევე შეგიძლიათ გაიკეთოთ მარილისა და გვირილას ნახარშის საფენებში.

ყელის მასაჟის შემდეგ კარგია გაიკეთოთ რომელიმე ხილის წვენის ან მარილის ხსნარის საფენი. რამდენიმე ფენად დაკეცილ დოლბანდს გაჟღენთავთ რომელიმე ხილის წვენით და დაიდებთ ნიკაპის ქვეშ,

ზევიდან ამოიხვევთ მშრალ დოლბანდს და შეიკრავთ, გაისკვნით თავზე. ამ საფენს დატოვებთ ყელზე გაშრობამდე. ასეთი საფენები ძალიან კარგია ღაბაბის მოსაცილებლად.

კვირაში ერთხელ მასაჟის ან მკვებავი ნიღაბის წინ კარგია გაიკეთოთ ცვლითი კომპრესები — ხან ცივი, ხან ცხელი. აიღეთ რამდენიმე ფენად დაკეცილი დოლბანდი ან ტილო (მოგრძო ნაჭერი, შარფივით), დაასველეთ ცხელ წყალში ან გვირილას ცხელ ნახარშში, გაწურეთ და შემოიხვიეთ კისრის ირგვლივ 2-3 წუთით; შემდეგ ეს ტილო დაასველეთ ცივ წყალში ან გვირილის ცივ ნახარშში, გაწურეთ და შემოიხვიეთ ყელზე 2-3 წამით. ეს უნდა გაიმეოროთ 2-3-ჯერ.

მოდუნებული და ნაოჭებიანი კანის დროს კარგია ყელზე რომელიმე მცენარეული ზეთის (ატმის, ჭერმის, ნუშის, ზეითუნის ზეთი) კომპრესი. გაჟღენთავთ ბამბის დიდ ფენას რომელიმე გამთბარ ზეთში, შემოიხვევთ კისერზე, ზევიდან შემოაკრავთ კომპრესის ქაღალდს და შეიკრავთ მშრალი პირსახოცით. დასტოვებთ 15 წუთის განმავლობაში.

საღამოობით ყელზე წაისვით ლიმონის, მცენარეული ზეთისა და ცილის ნარევი. ათქვიფავთ 1 კვერცხის ცილას, დაუმატებთ ერთი სუფრის კოვზ ზეთს და ერთი ლიმონის წვენს.

კისრის კანის მოვლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპეციალურ ვარჯიშს, რომელიც ამაგრებს კისრის კუნთებს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას და აუმჯობესებს კვებას. ვარჯიში ანიჭებს კანს ელასტიურობას და სიმკვრივეს.

ექიმი კოსმეტოლოგი.

**ვ. დოლიძე-ცხოვრებაშვილი**





1. კაბა აბრეშუმის ქსოვილისაგან, წელში გადაჭრილი, წინ ორი ნაკეცით გაწყობილია ასიმეტრიულად განლაგებული ჯიბეებით.

ავტორი **თ. კალანდაძე**

2. კაბა-კოსტუმი აბრეშუმის ქსოვილისაგან. ჟაკეტი წელში გადაჭრილია და წელის ხაზთან აქვს აშვებული ნაკეცები (ვიტოჩკები). საყელო მთლიანგამოჭრილია.

ავტორი **ა. რუხაძე**

3. კაბა ჩითის ან სატინისაგან ქალიშვილებისათვის. ნაოჭასხმული ქვედატანი გაწყობილია ჯიბეებით და თამასით, რომელიც მიკერებულია წინა ნაკეცთან და ბაფთით მთავრდება.

ავტორი **ლ. ავალიანი**

4. კაბა ქალიშვილებისათვის, ჩითის ან სატინისა. წელი დაწეულია. ქვედატანი ექვსნაჭრიანია, ნაკერებში გაწყობილია თამასებით, რომლებიც ბაფთით მთავრდება.

ავტორი **თ. კალანდაძე**

5. საღამოს გამოსასვლელი კაბა აბრეშუმის ქსოვილისაგან. წელი დაწეულია. ქვედატანი შედგება სამი სწორი არშიისაგან, რომლებიც გვერდებში გაირიბებულია.

ავტორი **ლ. ავალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური იუმორი

— როგორ ცხოვრობს თქვენი ქალიშვილი ამერიკაში?

— დიდებულად! ის გათხოვდა მშვენიერ ამერიკელ ყმაწვილზე. ქმარი ეხმარება მას დალაგებაში, ჭურჭლის დარეცხვაში და უვლის ბავშვს, როცა ჩემს ქალიშვილს სადმე წასვლა უნდა. ერთი სიტყვით, ყველაფერს ქმარი აკეთებს.

— როგორღა არის თქვენი ვაჟი?

— საცოდავი ბიჭი! ითხოვა ერთი უქნარა ამერიკელი გოგო! ჩემი ბიჭი ვალდებულია მოეხმაროს მას დალაგებაში, ჭურჭლის დარეცხვაში და უნდა მოუაროს ბავშვს, როცა ცოლი სადმე მიდის. ფაქტიურად ის უკეთებს ყველაფერს იმ თავხედ გოგოს!

### მოხმარება

გემის კაპიტანმა ჩასძახა ტრიუმში მყოფთ:

— ვინ არის მანდ?

— ვილიამი, სერ.

— რას აკეთებთ?

— არაფერს, სერ.

— ტომი მანდ არის?

— დიახ, — იყო პასუხი.

— რას აკეთებს მანდ?

— მეხმარება, სერ!

### მძიმე სასჯელი

კ ა ც ი (მოსამართლეს): რა არის ყველაზე დიდი სასჯელი ორცოლიანობისთვის?

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე: ორი სიდედრი.

### მისი ბრალი არ არის

ბ ი ც ო ლ ა: როგორ ჩააბარა ჯიმმა გამოცდა ისტორიაში?

დ ე დ ა: ცუდად, საწყალი ბიჭისთვის ისეთი რამეები უკითხავთ, რაც მის დაბადებამდე მომხდარა...

### ძვირია

ახლოსმხედველი ქალბატონი შევიდა ანტიკვარულ მაღაზიაში. კარგახნის თვალიერების შემდეგ მივიდა გამყიდველთან და შეეკითხა:

— რა ღირს აი, ის იაპონური კერპი, კარებთან რომაა?

— ძალიან ძვირი, — იყო პასუხი.— ის მაღაზიის მეპატრონეა.

### მომგებიანი ლატარეა

მომგებიანი ლატარეის გათამაშების დროს:

მელოტმა კაცმა მოიგო სავარცხელი.

მოხუცმა ქალმა — მოტოციკლი,

არამსმელმა კაცმა — სასმელი,

შინაბერა ქალმა — ბოთლი მაწოვარათი,

უცოლოდ დარჩენილმა კაცმა — ბავშვის საწოლი,

ახალგაზრდა ქალმა — შარვლის საბეჭური,

კბილის ექიმმა კი უფლება ექვსი კბილის უფასოდ ამოღებისა.

### დედა-ენა

ვ ი ლ ი: მამილო, რატომ უწოდებენ ჩვენს სალაპარაკო ენას დედა-ენას?

მ ა მ ა: დაუკვირდი, ვილი: ვინ უფრო ხშირად ხმარობს მას?!

ინგლისურიდან თარგმნა
მერი მახარაშვილმა

### ქალბატონ დაიკეს გაკვირვება

— თქვენი ქალიშვილის პალტო ხბოს ტყავისაა, არა? წვიმას ხომ არ ატარებს ნეტავ? — ჰკითხა მეზობელმა ქალბატონ დაიკეს.

— განა გინახავთ ოდესმე ხბო ქოლგით?! — გაკვირვებით მიუგო მან.

### პროფესიული ცდუნება

ც ო ლ ი: — ჩემო ძვირფასო, თუ გინდა ახლა ჩემს მეგობრებთან სტუმრად წაგიყვანო, დროებით უნდა დაივიწყო შენი პროფესია.

ქ მ ა რ ი: — როგორ?

ც ო ლ ი: — როგორ და ვისაც ხელს ართმევ, პულსს ნუ უსინჯავ ხოლმე.

### საოცრება

— ჟანგბადი აუცილებელია არსებობისათვის, უმისოდ სიცოცხლე შეუძლებელია. იგი მხოლოდ ერთი საუკუნის წინათ იქნა აღმოჩენილი. — უხსნიდა მასწავლებელი ბავშვებს.

— მერე და, მანამდე რას შვრებოდა ხალხი? — გაიოცა კარლმა.

### ოჯახური ბაასი

ც ო ლ ი: — თუ მამაკაცს რამეს ეტყვი, ის ერთ ყურში შეუშვებს და მეორედან გამოუშვებს.

ქ მ ა რ ი: — და თუ ქალს ეტყვი რამეს, ის ორივე ყურში შეუშვებს და პირიდან გამოუშვებს.

### სიფრთხილე

ქ ა ლ ი: — თქვენი აზრით რამდენი წლისა ვიქნები?

მ ა მ ა კ ა ც ი: — თქვენ უფრო ახალგაზრდად გამოიყურებით, ქალბატონო.

### ახალგაზრდა ცოლ-ქმარი

ც ო ლ ი: — კარგი მზარეული ვყოფილვარ, ძვირფასო?

ქ მ ა რ ი: — შესანიშნავი.

ც ო ლ ი: — ჩემი საჭმელებიდან რომელი უფრო მოგწონს?

ქ მ ა რ ი: — თევზის კონსერვი, ჩემო შეუდარებელო.

გარეკანის პირველ გვერდზე—
წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის
კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე
გ. ბ ე ნ ი ძ ე. ფ ო ტ ო პ. ლ უ ც ე ნ კ ო ს ი.
გარეკანის მეოთხე გვერდზე—
საქართველოს კურორტები.
საქდესის ფოტოქრონიკა

რედაქტორი თ. აბაშიძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა. ტექრედაქტორი ქ. დ ე მ უ რ ო ვ ა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VI-62 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 1105 უე 03272

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали".
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ დამავიწყდება



მუსიკა ა. ბუკიასი ტექსტი შ. ამირანაშვილისა

ნაირფერი ყვავილების
სურნელებამ დამათრო,
ზღვა ტალღების ტაშით შემხვდა,
სიყვარულით ამანთო.
მზის სხივებში ციტრუსები
ოქროსფერად ინთება;
მთებში და ზღვის ლაჟვარდი
როგორ დამავიწყდება.
ზღვის ნაპირას გოგო ვნახე,
გოგო ზღვისფერთვალება,
გულში უცბად ჩამეღვარა
სითბო და ნეტარება.
მზემ ჩაღინა გულში სხივი,
თუ ოცნება ბრწყინდება,
ზღვა, მთები და ის გოგო
როგორ დამავიწყდება.





ს 36/229





ბახმარო

საირმე



გაგრა